“დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№3 (293)
მარტი
2023 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამეხუთე წელი "LITERATURULI MESKHETI"

ცხვა გზა არ არის!

მაყვალა ხატიაშვილი

შემორღვეულა საზღვარი ქვეყნის,
მიტოვებულა სივრცე საუფლო,
ბოროტი იბრძვის და ძველებურად
სურს, ჩვენი მიწა სხვას რომ გაუყოს.

მიმოფანტულან ჩვენებურები,
ვიძირებით და ზღვაში ვინთქმებით,
მავანს წამმზომი უჭირავს ხელში, –
დროს ითვლის, – როდის აღარ ვიქნებით.

უვერაგესი შემოდის მტერი, –
ვაი, რომ ჩვენში უფრო მეტია!
ალაზნის, ბზიფის, ლიახვის ცრემლებს
ახლა რიონიც შეჰმატებია.

ჩასაფრებული ქვეგამხედავი
ჩუმად გვიყიდის ბერთა სამკვიდროს,
ვერცხლის ჩხრიალში ნაღალატევი
მიწის ნაჭერი ძერამ წაიღო.

პარადოქსების გავხდით ქვეყანა,
ავისმსურველთა ზრახვა ამხდარა,
ნეტავი როდის წავხდით ამგვარად, –
რაც კარგი იყო, ცუდი გამხდარა.

რატომ სჯობს სიძვა პატიოსნებას?
წუმპე – სიწმინდეს და ნათელს – ბნელი?
სიჩლუნგე –ნიჭის გასხივოსნებას,
ანდა სიბერწე – სიმრავლეს ერის?

სიკეთეს ვით სჯობს ბოროტი, ავი,
ერისშვილობას – მომხვეჭველობა?
დაწუნებულა, ვით გადმონაშთი,
კაცთმოყვარება და სათნოება.

თეთრი ფერები შავმა შეცვალა,
ერისკაცობა – ღალატმა ქვეყნის,
დაბოლილ მოყვასს, სამწუხაროა,
ჯანსაღი სიტყვა რომ აღარ ესმის.

როცა ქართული სიტყვის ბაღნარში
თურაშაული ასკდება ტოტებს,
თქვენ პანტას ეძებთ უსიერ ტყეში,
პირმოთნეობთ და თან აგემოვნებთ.

ტრადიციები უფერულდება,
ვცოტავდებით და აღარ ვბევრდებით,
ქართული სივრცე გათანგულია
ცრულიბერალურ სულისკვეთებით.

დემოგრაფიულს ვჭვრეტთ კატასტროფას,
დარჩენილებიც სადღაც მიდიან,
დაცლილ ქვეყანას ვინ ეპატრონოს, –
ეს ჩვენმა მტრებმა კარგად იციან.

გიფიქრიათ, რომ გაუსაძლისი
ყოფის საწყისი ჩვენშია მხოლოდ?
ჩვენივ თავისა ჩვენვე ვართ მტერი
და ხსნაც ჩვენშია მხოლოდ და მხოლოდ.

მიტოვებულა როცა სახნავი,
თვალჩამქრალია ბუხარი როცა,
ფუძეს რომ არ ჰყავს კვესის გამკრავი,
ვით შეგვეწევა წინაპრის ლოცვა?

როდემდე უნდა გვეძინოს ყურზე,
ქვიშაში გვქონდეს თავი როდემდის?

ფოტო ბადრი ვადაჭკორიასი

არყოფნისა და გადაშენების
შავ ღრუბელს ქარი მალე მოდენის.
ქვეყნის მომავალს მეც შიშით ვუმზერ, –
მართლა გავქრებით?.. აღარ ვიქნებით?..
შუმერ-ეტრუსკთა შორეულ ლანდებს
ვცდილობ, რომ მივწვდე ჩუმი ფიქრებით.

ახალგაზრდებო! აქ, ამ მიწაზე,
უნდა იმრავლოთ, იბედნიეროთ,
თორემ რა დავრჩით, გადაითვალეთ,
სული ამოგვდის – იბერიელნო!

ჩვენთვის არ ბრუნავს დროის მანქანა,
ავად გვიყურებს შავი უფსკრული,
ვინ თქვას „ლილეო“ მზის ამოსვლამდე,
ალაზნის პირზე ვინ თქვას „ურმული“?

სხვა რამ არა გვაქვს, არც იარაღი,
არცა სახსარი – ვერცხლი და ოქრო,
არც მთა და ბარი, არც იალაღი,
გასაცემი და სხვათ საქვეყნიო.

მიტომ გადავრჩით, „რომ წინაპარი
გვითვალთვალებდა სათოფურიდან,“
რომ მინანქარი თვითმყოფადობის
სულში ჰქონდა და არვის მიჰყიდა!

სხვა გზა არ არის, უნდა ვამრავლოთ
ძე და ასული, ამერ-იმიერ,
რომ გადავფაროთ მამულის სივრცე
და ვაღორძინოთ მრავალჟამიერ.

ოჯახი, უფლის გზაზე მავალი,
შვილიერება – წყალობა ბედის,
საამო არის ცქერა მრავალი
შვილის მოვლაში დაღლილი დედის.

ქართულმა სისხლმა უნდა იდინოს
და იღორძინოს ყოველ თქვენგანში,
როგორც მუხრანი იტყოდა ხოლმე:
„– ვითარცა ღვინომ –
ქვ ევრიდან – ხაპში, –
ხაპიდან დოქში, –
დოქიდან ჯამში...“

შევძლოთ და ისევ გავაყვავილოთ
ნაზი ყვავილი ბროწეულისა,
მუშტად შეკრული ძოწის მარცვლები –
უტკბილეს ქრისტეს გოლეულისა.

ბევრისგან ბევრი გამოირჩევა
ვაზისებრ გამძლე ქარვა-ლალითა,
ბიჭი და გოგო, – გოგო და ბიჭი,
ქართულ ბუნებით და სილაღითა.

გაიფანტება მაშინ სევდანი,
იმძლავრებს რტონი დამეხილისა, –
„იხილო შვილნი, შვილთა შენთანი,
ვით ახალნერგნი ზეთისხილისა!“



„სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა.“

რაფიელ ერისთავი

გამოთხოვილი სიკეთე

ნოველა

ბესიკ კაიშაური

კეთილი ქალი

დედაქალაქისკენ მიმავალი მიკრო ავტობუსი ხუთ წუთში შეივსო და მძღოლმაც დროზე ადრე გასვლა გადაწყვიტა.

„– უკვე მიდიხართ?“ – აქოშინებული ქალი მოადგა ტრანსპორტს და კარიდან შესძახა მძღოლს.

„– ჰო, ჰო გავდივარ... კარს მოშორდით!“ – უხეშად შესძახა მძღოლმა და მანქანა დაქოქა.

„– ვაიმე, დამელოდეთ... ბილეთს ავიღებ...“ – თქვა აფორიაქებულმამ ქალმა და სალაროსკენ გაქანდა.

„– რა ბილეთი, სავსეა მარშუტკა, ვერ ხედავ?“ – გაბრაზდა მძღოლი, კარები დაკეტა და ის იყო დაძრა მანქანა, ერთ-ერთი მგზავრი წამოდგა და მძღოლს გაჩერება უბრძანა:

„– იქნებ როგორ აგვიანდება ქალს, მე ჩავალ და ის წამოვიდესო!“ – ისეთი დამაჯერებლობით უთხრა, რომ მძღოლი დაიბნა, გააჩერა მიკრო ავტობუსი და კარები გააღო.

„– ამობრძანდით, ქალბატონო!“ – გასძახა კეთილმა ქალბატონმა აფორიაქებულ მანდილოსანს.

„– ვაიმე, თქვენი ჭირიმე, სასამართლოში მაგვიანდება, პროცესი მაქვს და...“ – აქოშინებული ქალი ძლივს ამოვიდა, ერთი ღრმად ამოისუნთქა, დამშვიდდა და დაჯდა დათმობილ ადგილზე.

კეთილი ქლბატონი ღიმილით დაიძრა კარისკენ ის იყო ჩასვლას აპირებდა და „აქეთ მობრძანდითო!“ – ხმა გაისმა ბოლო რიგებიდან.

„– მე დედასთან დავჯდები, თქვენ კი ჩემ ადგილზე დაბრძანდითო!“ – ხმამაღლა უთხრა გოგონამ და დედას ჩაუჯდა კალთაში.

„– სიკეთე გადამდებიაო, ამბობენ და მართალი ყოფილა.“ – ვიღაცამ წამოიძახა მგზავრთა შორის.

კეთილ ქალბატონს უარი არ უთქვამს, დაჯდა დათმობილ ადგილზე და გოგონას დედას სთხოვა: „– გეხვენებით, უარს ნუ მეტყვით, მინდა ეს ლამაზი გოგონა ჩემს კალთაში იჯდესო,„– უთხრა და პირმომცინარ გოგონას თავზე ხელი გადაუსვა.

„– არა, როგორ გეკადრებათო!“ – იუარა დედამ, მაგრამ კეთილი ქალბატონის დაჟინებამ თავისი გაიტანა, გოგონა ჩაუჯდა კალთაში და უხერხულობისგან სახე აუელვარდა.

„– შენოდენა გოგო მყავს მეც... რა კარგი შვილი ეზრდები საქართველოს, შენ კი გაიხარე.“ – მკერდში ჩაიკრა გოგო კეთილმა ქალბატონმა და უცებ შეცბუნებული სახით შეხედა ბავშვს.

„– დაცული რატომ არ ხარ, შვილო?!“ – ჰკითხა.

„– დაცული?“ – დაიბნა გოგო.

„ჯვარი რ ომ არ გიკეთია კისერზე, დაცული არ ხარ ბოროტი სულებისგან და ამან შემაშფოთა, ქრისტიანი ხომ ხარ? – იკითხა კეთილმა ქალბატონმა და გოგონას დედას გადახედა.

„– კი, უფრო სწორედ, არ ვიცი..“ – კიდევ უფრო დაიბნა გოგონა.

„– ქრისტიანები კი ვართ, მაგრამ ნინიკო ჯერ არ მოგვინათლია და ამიტომ არ უკეთია ჯვარიც.“ – სინანულნარევი თავის მართლება გამოუვიდა გოგონას დედას.

„– უი, თქვენ კი გაიხარეთ! დიდება და მადლობა უფალსაო,“ – სიხარულით წარმოთქვა კეთილმა ქალბატონმა და პირჯვარი სამჯერ გადაიწერა.

გოგონა და დედამისი გაოცებულები უყურებდნენ ერთმანეთს.

„– შენ იცი, რა ბედნიერი ხარ? ნათლობით ყველა ცოდვა მოგშორდება... მფარველი ანგელოზი გეყოლება.... დაცული იქნები.... ქრისტესთან იქნები და ქრისტე იქნება შენთან...“ – ემოციურად აღუწერდა ნათლობის სიკეთეს, კეთილი ქალბატონი, ბოლოს პაუზა გააკეთა და ღიმილით დასძინა: “... თუ კარგი ნათლია გეყოლება.“

დედა-შვილმა ერთმანეთს გადახედეს.

„– ძალიან მინდა მე ვიყო შენი ნათლია, ნინიკო.“ – უთხრა კეთილმა ქალბატონმა და ისეთი მღელვარებით დაელოდა პასუხს, რომ უარის თქმა ვერც გოგონამ შეძლო და ვერც მისმა მშობელმა.

კეთილმა ქალბატონმა თავის მობილური ჩააწერინა ნინიკოს და, ვაითუ არ დამირეკოსო, გოგონას დედასაც გამოართვა ტელეფონის ნომერი.

„– აბა, ვის უნდოდა მცხეთასთან ჩასვლა?“ – მძღოლის შეძახილმა გამოაფხიზლა კეთილი ქალბატონი, ყველას სასწრაფოდ გამოემშვიდობა, დალოცა მძღოლი მგზავრებიანად და ჩავიდა მიკრო ავტობუსიდან.

...

რაღაცნაირი უმაყოფილების გრძნობა დამრჩა. – რატომ არ გამოვედევნე და არ ვკითხე კეთილ ქალბატონს, – რატომ მოიქცა ასე? – ამას ვსაყვედურობდი საკუთარ თავს.

ნეტავ რას მიპასუხებდა? ალბათ, მეტყოდა: „– განა შეიძლება სხვანაირად მოიქცეს ადამიანი?!“

„კი, მაგრამ ჩვენ ხომ ამდენი პრობლემები გვაქვს?!“ – ასეთი იქნებოდა ჩემი მორიგი, რიტორიკული კითხვა. ის კი მეტყოდა:

„პრობლემები იმიტომ გვაქვს, რომ სხვის პრობლემებისადმი ვართ გულგრილები.“

„მაგრამ სხვისი პრობლემებისადმი ყურადღება ხომ უდიდეს ენერგიას გვართმევს?“ – შევეპასუხებოდი და ის უსათოოდ გაიცინებდა და ამას მეტყოდა: „სიკეთე მადლია, მადლი ღმერთია, ღვთიური ენერგიაა, რომელიც სიკეთის სანაცვლოდ გეძლევა და... რა ენერგიის წართმევაზეა ლაპარაკი?!“

„– რამეს ხომ არ დაამატებდით?“ – ამ დამაგვირგვინებელ კითხვასაც დავუსვამდი და ის დასძენდა: „უნდა ვიფხიზლოთ! ღვთისგან გვეძლევა სიტუაციები, რომლისადმი ჩვენი უყურადღებობა შეიძლება ფატალური იყოს მოყვასისთვის. მაგალითად, ის ქალბატონი, მე რომ ადგილი დავუთმე, სასამართლოს პროცესზე მიიჩქაროდა, რომ დაეგვიანა, შეიძლება სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოეტანა და ამ გადაწყვეტილებას დაეღუპა ის და მისი ოჯახი...“

„გოგონა?“

„გოგონა მოუნათლავი იყო, ხომ შეიძლება კიდევ დიდხანს ევლო ასე, ქრისტეს გარეშე, მერე? განა გარანტირებული გვაქვს საუკუნოვანი სიცოცხლე? ან თუნდაც ორასი წელი იცოცხლო ღმერთის გარეშე, განა აზრი აქვს ასეთ სიცოცხლეს? ახლა კი შანსი მიეცა არა მხოლოდ მონათვლისა, არამედ ღმერთთან დაახლოებისა, თუ მე ღირსეულად შევასრულებ ნათლიის როლს.“

...

მიკრო ავტობუსი განაგრძობდა გზას.

სალონში ისმოდა მუსიკა.

საქსაფონი კვნესოდა სევდიან მელოდიას. თითქოს ეფერებოდა სიკეთეს და ტიროდა ამ სიკეთის სიმცირის გამო.

წიგნის წარდგინება

წიგნად აკინძული ჯავახეთი

ახლახან, პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დიდ დარბაზში, გაიმართა პუბლიცისტისა და ფოტოხელოვანის, კუკური მეტრეველის წიგნის – „ჯავახეთი. ისტორიულ-კულტურული ნარკვევის“ წარდგინება. წიგნი დაისტამბა გამომცემლობა „არტანუჯში“. მასში პოპულარულ ენაზე გადმოცემულია ჯავახეთის ისტორია, ეთნოგრაფია და თანამედროვეობა.

წიგნის წარდგინებაზე თავი მოიყარა მრავალმა ადამიანმა. მათ შორის იყვნენ სამცხე-ჯავახეთიდან ჩამოსული სტუმრები, განსაკუთრებით ჭარბობდნენ ჯავახები. საოცარი აურა ტრიალებდა მთელ დარბაზში!.. ბავშვობიდან გამოყოლილი უსაზღვრო ემოციები, მამა-პაპათა მონაყოლი ამბები, სოფლის ძველი უბნების ჟრიამული, მიწურ სახლებში დაბუდებული სიყვარული, ბარაქიანი სოფლის კალოები, გაზაფხულის მზით გამთბარი აფუებული მიწის სურნელი, ფურნეში გამომცხვარი ქადა-ხაჭაპური, თავმტვერწაყრილი საფლავის ქვები – წინაპართა განსასვენებელი, ღობემორღვეული კარმიდამო, ბალახაბინებული სახლის კიბეები, თვეობით და წლობით ქალაქის გზისკენ მომზირალი, შვილების და შვილიშვილების მომლოდინე, თვალცრემლიანი მშობლებისა და თოვლისფერთმიან მოხუცთა ლოცვა... გამომსვლელთა თითოეული მოგონება დამსწრეთა სულსა და გულს აფორიქებდა, ჟრჟოლის მომგვრელი, ენით აუწერელი განცდა კი, სიხარულსაც და სევდასაც ერთნაირად იწვევდა.

დაუსრულებელი რიგი იდგა წიგნის ავტორთან ავტოგრაფებისათვის. გულდაწყვეტილი არავინ დარჩენილა.

ერთნაირად ხარობდნენ ჯავახებიც და დამსწრე საზოგადოებაც.

ბევრ ცნობილ სახეს შეხვდებოდით წიგნის წარდგინებაზე, მათ შორის იყვნენ ისტორიკოსები, ხელოვნებათმცოდნეები, გიდები, ფოტოგრაფები, ჟურნალისტები და ყველა ის, ვისთვისაც ძვირფასია ჯავახეთი.

ფასდაუდებელია კუკური მეტრეველის ღვაწლი და ამაგი სამცხე-ჯავახეთის, განსაკუთრებით ჯავახეთის, როგორც საქართველოს ერთ-ერთი ძირძველი და გამორჩეული კუთხის ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა-პოპულარიზაციის საქმეში. აღნიშნული წიგნი სწორედ ამის დასტურია.

წიგნი იმთავითვე იპყრობს მკითხველის ყურადღებას. ყდას აბულის მეგალითური ციხის ფოტო ამშვენებს, რომელიც ჯავახეთის ერთგვარი სიმბოლოცაა, – ამ კუთხისა და იმ ალალ-მართალი ხალხის ჭეშმარიტი სახეა, რომელიც მეგალითური გალავნით გარშემორტყმული, თვალწარმტაცი ბუნების წიაღში ცხოვრობს. აბულის ციხე ხომ ჯავახეთის მარადიულობის მედგარი და შეუვალი ხასიათის გამოხატულებაა.

წიგნი მშობლიური მხარის დიდი სიყვარულითაა დაწერილი, რომლის თითოეულ სტრიქონში მძაფრად იგრძნობა მამულის სიყვარული, წინაპრებისა და ტრადიციების პატივისცემა, თანამოძმისადმი გამოხატული უდიდესი სითბო და კეთილგანწყობა. ბატონი კუკური მეტრეველი არამხოლოდ კალმის დიდოსტატია, არამედ – შესანიშნავი ფოტოხელოვანი.

წიგნი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა დაბეჭდილი, ტექსტობრივ მასალასთან ერთად გამდიდრებულია ჯავახეთის ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და

ჯავახეთის ყოფა-ცხოვრების ამსახველი ფოტოებით. ავტორი განსაკუთრებით დასაფასებელია იმითაც, რომ იგი წლებია მოგზაურობს ჯავახეთის სხვადასხვა ნაწილში, სოფელ-სოფელ, მთა-მთა და შემოვლილი აქვს ყველა მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლი, კარგად იცნობს აქაურ ნასოფლარებს, – თითოეული ხავსმოკიდებული ქვის ისტორია ზედმიწევნით იცის. უყვარს, ეფერება და საზოგადოებას ამოგზაურებს „ჯავახურ ზღაპარში“.

მისი თითოეული ფოტო მკაცრ და ყინვიან ზამთარშიც გახურებული ჯავახური ბუხარივით თბილია, საუკუნეთა წიაღიდან მომზირალი წმინდანთა და საერო პირთა სახეებივით მადლიანი და ნისლმორეული ჯავახური სოფლების ხრამ-ქარაფებიდან მონაბერი მაცოცხლებელი სიოსავით გულის გამამხნევებელი. მის თითოეულ ფოტოს ჯავახეთის ნაირფრად აყვავებული და აფუტკრებული, თვალუწვდენელი ველ-მინდვრებისა და თავგადამწიფებული ხოდაბუნების სურნელი ასდის! ხედს ხედი ენაცვლება, სოფელს სოფელი, იცვლება დრო და იცვლება სივრცე! სადღაც ნასოფლარად ქცეული, ერთ დროს ძლიერი და ხალხმრავალი სოფლის მოკირწყლული შუკა-ორღობე მოჩანს, ბოლოსკენ მიკლაკნილ, ბილიკად ქცეულ და აბალახებულ წყაროზე ჩამავალ ფოტოში მურჯის ყანებს მზე-ღრუბელი ფეხაკრეფით უვლის, შარვაშეთის მთის კალთებზე ცხვრის ფარაა შეფენილი, ტაბაწყურის ლაჟვარდოვანი ნაპირი ჩამავალი მზის შუქით ცეცხლისფრად ელავს და ნახევარკუნძულის გარშემო თოვლისფერი თოლიები ლივლივებენ. ერთიმეორეზე უკეთესი ფოტოებია, რომელიმეს გამორჩევა ძნელია. ერთ კადრში თმოგვის ციხის ციტადელიდან გაშლილა პანორამა, ქვემოთ, ხეობის სიღრმეში, ოაზისებური სოფლების სიახლოვეს, მტკვარი მოდუდუნებს, რომელსაც კოლა-არტანის მთის წყაროების სუნი, ფერი და გემო დაჰკრავს... პერანგშემოცლილი, გაფრცქვნილი და კამარადაქცეული საყდრები

მრევლს და მლოცველს ელიან... დუმს არაემარე, თვალწარმტაც პეიზაჟებს გულისგამწურავი კარგამოკეტილი მიწურების სიმრავლე ენაცვლება, ჯავახეთის ისტორია და სვე-ბედი მძიმე, ტკივილიანი და ტრაგიკულია.

კუმურდოს გუმბათმორღვეული ტაძრის სვეტებს მტრედის გუნდი თეთრ მძივად შემოხვევია, თაღებს ზემოთ თიბათვის ლურჯი და მომნუსხველი ცა ჩანს!

ნასოფლარებზე მიმოფანტულა წარწერა-ჩუქურთმიანი ქვები!..

სტელები, ქვაჯვარები, სერები, მთები, ტბები... საავდრო ღრუბლებად ბოლავს აბული! შარაგზის პირას და კლდის ქიმზე ცეცხლისფრად დანთებული თრიმლები!..

ათოვს არემარეს და ათოვს ერდო-ბანიან სახლებს!..

აბულ-სამსრის ქედის კალთებზე ფირუზისფრად მოკამკამე ტბებში თითქოს დრო გაჩერებულა, რომელთაც უხსოვარ დროში ვულკანის ზემოქმედება ზედმიწევნით აურეკლავთ, ამ არემარეს ჯერ კიდევ არ შეხებია ადამიანის ფეხი, აქ ყველაფერი პირველყოფილი და უჩვეულოდ მისტიურია!

მინდა მივულოცო ავტორს ამ შესანიშნავი წიგნის გამოცემა, ერთი კარგი და მნიშვნელოვანი ქართული, ეროვნული საქმის სისრულეში მოყვანა!

განსაკუთრებით ვულოცავ ყველა ჯავახს და თითოეულ ქართველს ამ ძვირფას შენაძენს, ყველას, ვისაც გული შესტკივა ჩვენი ქვეყნის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე.

გიორგი მაღრაძე,
ისტორიკოსი

მარიკა ლაშხია

მე იქ მერჩივნა

მე იქ მერჩივნა – ჩრდილში და როცა
გამომაძევა მზემ ამ ჩრდილიდან,
უნდა მცოდნოდა, ხალხში გამოსვლა
ასე იოლად არ ჩამივლიდა.

ყველამ თავისი ბაჟი მიწესა
ყველაფერზე და ყოველდღიურად,
თითქოს მეგრელი ვიყავ პრინცესა
და მივყვებოდი ცოლად მიურატს.

მიტოვებული სახლივით

მიტოვებული სახლივით სულიც
დარდისგან ჯერ არ გამოთოვლილა,
მე სამშობლოსგან ლტოლვილი ქალი
დღეს მიჯნურივით ვიქეც ლტოლვილად.
სანამდე ვმალო ლექსიც და სახეც,
ვამსხვრევ სარკეს და ვლეწავ კარადებს...
და ვიხდი ნიღაბს, ვიდრე სიკვდილი
შავი ხელებით მომიპარავდეს.

სულ არ ადარდებს

სულ არ ადარდებს რიდი და წესი,
და კიდევ ტაქტი: მე თუ მენება...
დღეს გამომება კაბაზე ლექსი,
არც დრო მომცა და არც მოსვენება.

მაჩუქა სტროფის ტოლი ტიარა,
ოქროს ქოშებად – რითმა ცალ-ცალი.
თან მიჩურჩულა: გინდა თუ არა,
უნდა იყოო ჩემი წაწალი.

ქალის „არა“ ხომ „ჰო“-თი მკობილა,
მეც იდუმალი ვარ ნანდაური.
მეხის ქუხილზე მეტი ყოფილა
ფეხაკრეფითი მოსვლის ხმაური.

ჩაივლის წლები...

ჩაივლის წლები ფრაგმენტებად,
ცისფერ კადრებად,
ლაღი ცხოვრება, ონავარი,
ცელქი, ოხუნჯი,
მე ის გოგო ვარ, აფხაზეთი
რომ ენატრება,
მე ის ქალი ვარ, ბავშვობა
რომ დარჩა სოხუმში.

ბედი

მე ბედ-იღბალმა ბევრჯერ მიგანა...
დაშვებულია სევდა ფარდებად,
მაგრამ ერთ დღესაც სიო გრიგალად
გადიქცევა და ამოვარდება.

და როგორც ხეზე ბოლო ფოთოლი,
გულს რომ გიბზარავს თვალის შევლება...
ამგვარ იმედის ზვავში მოყოლილ
წარსულის დღეებს რა ეშველებათ?!

რუსმა წამართვა...

რუსმა წამართვა აფხაზეთი –
ჩემი მამული,
ოკუპანტია, აქვს წამგლეჯის
ბილწი ბუნება,
საქართველოს შვილს
სისხლი მიდუღს
მეგრულ-სვანური,
ელოდებიან ლაშხიები
ჩემს დაბრუნებას...
ისტორიული აფხაზების
გადასარჩენად
უფალი ითხოვს,
ქართველებო,
ჩვენს დაბრუნებას.

მატარებელი ისე აჩქარდა

მატარებელი ისე აჩქარდა,
შორს არ იქნება ბოლო სადგური,
ისე მომბეზრდა მე ეს ჯაჯგური
შემთხვევით შემხვედრ
მგზავრთან და ქართან.
ყველა თავისი შხამით ნაბანგი,
მიჰქრის და რჩება კვლავ არავისთან,
ბედნიერება იყო ხაფანგი,
დაგვსაჯა, ვისაც ხელი წაგვიცდა.

შეფაკლული აქვს სათქმელს ლოყები

შეფაკლული აქვს სათქმელს ლოყები,
ადევს ბორკილად სიმორცხვე სიცილს.
მე დაჟინებულ სურვილს მოვყვები,
რომელიც შენთან მომიყვანს, ვიცი.

გზად ფეხაკრეფით ქარებს ჩავუვლი,
ქარებს სურთ ფლირტი და თამაშობა,
მე მართალი ვარ, ვით სიყვარული
და გულწრფელი ვარ, როგორც ბავშვობა.

მინორი მინორს არ უყვარს თურმე,
მინორს ღიმილი უფრო უხდება...
ისე ნაზია ქალის სიჩუმე,
მძვინვარებასაც კი შეშურდება.

მე მირჩევნია კულისებს სცენა,
ლოჟას და პარტერს – ცის კიდე, შორი,
სულ არ მაკვირვებს მოენეს ენა,
სულ არ მადარდებს ჭიანი ჭორი...

დამშვიდდი ბედო, ამოდ ირჯები,
გულს კოკა ცრემლით თვითონ ავუვსე.
ხვალ ყველა ლაქარდს ვეპატიჟები
ჩემი ტკივილის დღესასწაულზე.



ალექსი გოგბერაშვილი

არ ჩამოშალოს...

მოძმე და მომხრე არ ჰყავს ამქვეყნად,
სურს, – დღენიადაგ მარტო იაროს,
ქარი შლეგი და მარად თავნება,
ორღობეებში დაბორიალობს.

ზოგჯერ გაჰკივის რა ნაღვლიანად,
სხვა სევდა ერთვის ქარაშოტს ამ დროს,
ალუბლის ხე რომ ააწრიალა, –
ეჰ, ჩიტის ბუდე არ ჩამოშალოს.

ჩვენი ცხოვრება

დროდადრო ვილხენთ, რაც ეგზომ გვშვენის,
ზოგჯერ კი დარდი შეგვძრავს გულამდე,
ამგვარად მიდის ცხოვრება ჩვენი –
გაზაფხულიდან გაზაფხულამდე.
დღეს თუ ოდნავ კრთის სინათლე რწმენის,
ხვალ მისი სხივი ააღწევს ცამდე,
და ასე მიდის ცხოვრება ჩვენი –
ფოთოლცვენიდან ფოთოლცვენამდე.

ბუნების ნებას ვერავინ შეცვლის, –
შევუერთდებით წარსულის ლანდებს,
მაინც იმედით რაღაცას ველით,
მაინც ვბობოქრობთ აღსასრულამდე.

მუხა

ცას ქუფრავს ზამთრის ლეგა ღრუბლები,
და ჩემი ფიქრი ახლა მოღლილა,
მუხას შევყურებ, ვესაუბრები,
დროსთან შებმული კვლავ დგას ღონივრად.

– შენ დრომ გარგუნა ბევრჯერ სადარდო, –
არ მოგრევია სევდა გოლიათს,
ო, ნეტა, მუხავ, მეც ვერ დამჯაბნოს
ცრემლამდე მძიმე მელანქოლიამ!

***

ფიქრს ასე დამღლელს და მკაცრს რარიგად,
ბრაზით ამოვთქვამ და ზეცას ვახლი, –
რად გვემარჯვება დასაბამიდან
ერთმანეთისთვის დაგება მახის.

რამდენი ფლიდი ბორგავს, არწივობს,
დიდების მწვერვალს როგორ მიელტვის,
კვლავ შურის ნისლით ბოლავს სამკვიდრო,
რამდენს სურს იყოს – მხოლოდ პირველი...

არ მიმატოვა

ვხედავ ნაცნობებს ახლა სარკმლიდან,
ერთი შეხედვით მაინც მარტო ვარ,
ერთი შეხედვით, რადგან, ცხადია –
მუზამ დამინდო, არ მიმატოვა.
მახე რამდენმა გულქვამ დამიგო,
კიდევ რამდენი თვალწინ მზაკვრობდა,
მხოლოდ და მხოლოდ მუზამ დამინდო,
არ დამეხსნა და არ მიმატოვა.

ცვზე ღრუბელი ჩამოიშალა

ზამთრისპირია. ვდარდობ იმგვარად, –
ბილიკს მივყვები სვენებ-სვენებით,
ცაზე ღრუბლები წამოიშალა
და სულში კიდევ მოგონებები.
დრო მომნუსხველი მახსოვს ნიადაგ
(იმ განცდას კვლავაც როგორ ვნებდები),
ცაზე ღრუბლები წამოიშალა
და სულში კიდევ მოგონებები.
მზე დიდებული ახლოს ბრწყინავდა,
დღეს კი ჩემს ირგვლივ გლოვობს ფერები,
ცაზე ღრუბლები წამოიშალა
და სულში კიდევ მოგონებები...

არასდროს!..

სევდა-ვარამი გაბევრდა...
გამოფხიზლდება ნეტავი? –
სამშობლო, ჩემი ღვთაება,
კვლავაც და კვლავაც მთვლემარი;
ღმერთო, არასდროს დაერქვას
ამ მიწას ნაქართველარი.

***

აღარ ახსოვდა არაფრსიგან
ბავშვობის გარდა.

დავით წერედიანი

ქარი თავხედობს,
გამყინავი და მსახვრალი,
ღამეა. წყვდიადს ნებდება
მიწა და ზეცა.
ეს ბერიკაცი,
შუბლდაღარული, გამხდარი
და დაქანცული
სიმძიმით გარდასულ წელთა, –
რარიგი სუფთა და
ლურჯი ფერის ტალახით,
თბილი ბუხრისპირს –
შორეულ ბავშვობას ძერწავს.

***

ფიქრით იმ ქალზე გული კვლავ ბორგავს,
გული ჯერ კიდევ ღელავს, ფრთხიალობს,
ო, ნეტავ ახლა იმ ბაღში ორმა
თუნდაც ცოტა ხნით ერთად ვიაროთ,
რომ შორეულმა და წმინდა გრძნობამ
ისევ და ისევ შემაწრიალოს.

საკვირველია...

მას სწამს სიკეთის დიადი ძალა,
შრომობს და იღწვის რა პატიოსნად,
გონიერსა და ზნეობით მაღალს
ვერავინ ამჩნევს ამქვეყნად ოდნავ.
აი, მეორეს, – სიმდიდრის მრუდე
გზებით მომხვეჭელს, ვერაგს, გესლიანს, –
ხოტბას ასხამენ და როგორც სტუმარს –
მოწიწებით და კრძალვით ელიან...
... ეს ყოველივე ახლაც და მუდამ,
ღმერთმანი, მართლაც საკვირველია...

წინაპართა სამყოფელი

მზემ ჩაჰკარგა ბოლო სხივი
მუხნარის ტყის დასალიერს,
დაბარბაცებს ჩუმად ბინდი,
აფერმკრთალებს ყვითელ იელს.
გულსაამოდ და თანდათან, -
ჩამყუდროვდა კვლავ სოფელი,
საღამოა ახლა ნაღდად , –
ვრცელი ფიქრის მათრობელი.
სხვა ეშხი აქვს, სულ რომ შვენის
გარინდებულ ორღობეებს,
გრილი სიო ფრთხილი ვნებით
უალერსებს ხეთა რტოებს.
ძვირფასი და მუდამ სანდო
არის მართლაც აქ ყოველი,
რა ტკბილია, რა უბადლო,
წინაპართა სამყოფელი.



ომარ ხაიამი.
მხატვარი ამირ მოჰამედ დასკმიზადე.

ომარ ხაიამი

* * *

თუკი დღემუდამ მტანჯველ ფიქრებს მიართვი თასი,
გინდა ერთი დღე გიცოცხლია და გინდაც – ასი.
დალიე ღვინო, ვიდრე ერთ დღეს თიხის ოსტატი
მოგზელს, გახდები ღვინით სავსე დოქი ძვირფასი.

* * *

ღვინის სარდაფში ჩავედი და მოხუცი ვნახე –
გალეშილიყო ღვინის სმით და შეშლოდა სახე.
ვკითხე: „ – უფლისა არ გეშინის, რას დაემსგავსე?!“
მომიგო: „– ეს არს ღვთის წყალობა, შესვი და ნახე!“

* * *

კარგს მოგმადლებს თუ გინა – ავსა ჩვენი სამყარო,
თუნდაც დაგტანჯოს და ხანდახან თუნდ გაგახაროს,
ქვეყნის იმედი არასოდეს გაივლო გულში,
რამეთუ იგი შენზე მეტად არის საბრალო.

* * *

ჰე, ძმებო, ღვინით გამახარეთ და აღარ ვხვნეში,
ქარვისფერ ღაწვებს ლალისფერი შემატეთ ეშხი.
ოდეს მოვკვდები, გეაჯებით, გამბანეთ ღვინით,
ვაზის კუბოთი გაასვენეთ ეს ჩემი ლეში!

* * *

ყოვლის შეცნობის, სულო ჩემო, არა გაქვს ძალა,
სხვათა სიტყვებით შეძენილი გიღირდეს ჩალად.
შენი ედემი შენს ხელშია დოქით და ჯამით,
სხვათა ედემში გინდ იყავი და გინდა – არა.

* * *

ვიდრე ხელთა მაქვს მე სიცოცხლის ჭურჭელი ესე,
ვიდრე ამ ჯამში წყურვილს ვიკლავ, არ დავიკვნესებ!
ჰეი, მედოქევ, თუკი ჩემგან დოქს გააკეთებ,
მხოლოდ მეღვინეს მიჰყიდე და სიკეთე თესე!

* * *

მარადისობის შემეცნება რთული რამ არი,
შეუცნობელი არაკია, ზღაპარი არი.
ჩვენი ძახილი ფარდის იქით გააღწევს მხოლოდ,
ფარდას გასწევ და იგივეა ისევ, რაც არი.

* * *

მორწმუნესს ათასს მირჩევნია წვეთი ღვინისა,
ერთი ჭიქა კი ფასი არის მთლად ჩინეთისა.
ამა სოფელში ღვინო სულის სამშვენისია,
თუცა მწარეა, სულზე მეტ არს ფასი იმისა.

* * *

სჯობს, ლოთი იყო და იარო გზებზე სიკეთის,
ვინემ – ქლესა და ანგარება გქონდეს მოკეთის.

თუკი ღვინის სმა ჯოჯოხეთის გაგიხსნის კარებს,
რაღა ფასი აქვს, სამოთხეა თუ – ჯოჯოხეთი!

* * *

არსიც შევიცან, არარსობის აზრიც ვიცანი,
განდიდების და დამცრობისაც ვიყავ ხიზანი,
თუმცა, შემრცხვება უცილობლად ამ ცოდნის გამო,
რადგან ღვინის სმის არსიც ვიცი, მისი მიზანიც.

* * *

ოხვრა-გოდება ვერაფერში დაგეხმარება,
ვისაც ჭკუა აქვს, ტანჯვაც მხოლოდ მას ეკარება.
გამაგრდი, დარდი არასოდეს გაივლო გულში,
სევდა არ არის სულის საზრდო და ნეტარება.

* * *

ჩემს სულს მსხვერპლად მივაგებებ კაცს,
გონებით სავსეს,
ფიანდაზად რომ გავეგო, ისიც ლხენით მავსებს.
თუკი გინდა, რომ შეიცნო ჯოჯოხეთის არსი,
ბრიყვი კაცი მონახე და იმას ებაასე.

* * *

მე და შენ რაიც გველოდება, გაგანდობ მყისვე,
მოკლედ გაგიმხელ, ორი სიტყვით ვიუბნებ, ისე:
მე შენი ტრფობა დამამიწებს, დამასამარებს,
თუმც იგივ ტრფობა ამომიყვანს მიწიდან ისევ.

* * *

ნუ დართავ ნებას, რომ მეგობრად გაგიხდეს სევდა,
მწუხარებასაც დაუჩლუნგე შენდამი ხედვა.
ცხოვრების წიგნი არ გაწირო, არ მიატოვო,
ვიდრე ცოცხალ ხარ, ვიდრე მიწას გარგუნებს ბედი.

* * *

მისი მოდარდე ნუ იქნები, რაც გარდასულა,
რაც არ ყოფილა, არ ინაღვლო იმაზე სულაც.
ვიდრე საწუთრომ წარიტაცა მახვილი შენი,
მანამ ივარგე, შენი წილი წაართვი სრულად.

* * *

მე მერიქიფემ შვება მომცა ცოტა ხნით ბედად,
ხალხთან ბაასში სანუგეშოს ვერაფერს ვხედავ.
ეჰ, გუშინდელი ღვინიდანაც არ დარჩა წვეთი –
დარჩება რამე ქვეყანაზე ჩემიდან, ნეტავ?

* * *

იყურებოდა ორი კაცი ერთი სარკმლიდან,
ერთმა იმავ წამს ჭუჭყს და ტალახს ჰკიდა თვალი და
მეორემ უმალ მწვანე ფოთლებს შეავლო მზერა
და გაუღიმა გაზაფხულმა ლაჟვარდი ციდან.

* * *

მერიქიფეო, ღვინო, ჯამი, მწვანით მორთული
ველი ჩემია, შენ კი გქონდეს სამოთხე სრული.
არ დაიჯერო ედემის და ჯოჯოხეთისა,
ვინც კი წავიდა, ნახა ვინმემ დაბრუნებული?

* * *

ჰე, მეგობარო, ხვალინდელზე ვიდარდებთ ნურას,
ამ წუთისოფლის სიამენი შევიცნოთ სრულად.
ხვალ კი, ხრწნად სხეულს რომ დავტოვებთ, მივემატებით
შვიდი ათასი წლის წინათ რომ გამგზავრებულან.

* * *

არ მიგატოვებს, მოწყალეა უფალი მეტად,
ცოდვების გამო არ მიეცე სასოწარკვეთას.
დღეს გამომთვრალი საუკუნოდ თუ დაიძინებ,
შეიწყალებენ ხვალ უთუოდ შენს ნარჩენ ძვლებსაც.

* * *

ჰე, გულო ჩემო, მწუხარება რომ არ გშორდება,
რადგან სულ-ხორცი შენ არც ერთი არა გნებდება,
მწვანე მდელოზე დაჯექი და მოითქვი სული,
ვიდრე ეს მდელო შენს საფლავზე აბიბინდება.

* * *

აწმყოს იმედი ნუ გექნება, გულო, გაიგე,
მრავალი ტანჯვა მოგაყენა, ფეხქვეშ გაგიგო!
შენს თავს მიხედე და აკეთე, გენებოს რაიც,
ხვალ რას გიმზადებს ბედისწერა, ვერას გაიგებ.

* * *

თუკი სიკვდილი არ აგცდება, თუკი ვალია,
ერთხელც მოკვდები – ხომ იცი, რომ გარდუვალია.
სისხლი, ხორცი და უწმინდური შიგანი შენი
არარა არი, ჰოდა, რაღა საწუხარია!

* * *

მე მეოხს ვეძებ, მეოხება შენი სად არი?!
გულში გამეფდა სიბნელე და გლოვად მზად არი.
გმორჩილებ რაკი, მომანიჭებ მისთვის სამოთხეს –
ვაჭრობას მოჰგავს, წყალობა კი შენი სად არი?!

* * *

წუთისოფელზე მინდობილი და მიჯაჭვული,
პურით და ღვინით ხალისობდა ეს ჩემი გული.
თუკი ოდესმე გალეშილი დაგინახივარ,
ალბათ, მიზეზიც მექნებოდა ამისი სრული.

* * *

რა უსწრაფესად მიაჭენებს რემა ცხოვრების,
მიჰქრის და მალე არაფერი გვემახსოვრება...
მაშ, ნუ იდარდებ, რას მოგიტანს დღე ხვალინდელი,
დამისხი ღვინო, მწდევ, ეს ღამეც მიედინება!..

* * *

ორიოდე დღის სამყოფი პური თუ გაქვს ქოხში,
თავანკარა წყალიც გიდგას პირწატეხილ დოქში,
ნუ იკადრებ ნურასოდეს, უღირსს დაემონო,
არც ისურვო, სხვა რომ გყავდეს შენად სამსახურში.

* * *

რადგან ამქვეყნად ჩვენი ყოფა ერთობ ძნელია,
სატრფოს გარეშე ეს ცხოვრება არაფერია.
ბრძენო, წარსულზე ნუ იდარდებ, თუ არ ვიქნები,
რა ბედენაა – ახალია, ანდა ძველია!.

* * *

რაკი ფარულად უნდა მწამდე, რაკი ვერ გხედავ,
უარგყოფ ხოლმე... მე, ცოდვილი, ამასაც ვბედავ.
ცოდვით გათანგულს, სულზე ფიქრი მაფხიზლებს მაინც,
მარქვი, ამ ცოდვებს მაპატიებ ოდესმე, ნეტავ?..

* * *

ამქვეყნად ჩემი არსებობა ნებაა შენი,
სავსე ვარ შენი წყალობითა და მადლის ჩენით,
თუმც მსურს, ცოდვები ჩავიდინო, რათა შევიცნო,
ეგ შენი მადლი გადასწონის თუ – ვნება ჩემი.

* * *

ღვინოს თუ დალევ, შესვი მხოლოდ გონიერ კაცთან
ანდა – ეშხიან, ლოყაწითელა ლამაზმანთან;
ღვინო ცოტ-ცოტა, ნება-ნება უნდა დალიო,
ნუ გადათვრები, ნუ ჩამუხლავ სიფხიზლის კართან.

* * *

შეუძლებელზე ნუღარ დარდობ, ნურც დაეჭვდები,
სხვაზე იფიქრე, სავსე ჭიქას რაკი მისწვდები;
არ მოიწყინო, თვალებს ცრემლი არ მიაკარო,
ღვინოს ეტრფოდე, ის გატარებს აღთქმული გზებით.

* * *

ვინც წუთისოფლის საიდუმლო შეიცნო სრულად,
ის უსათუოდ ტანჯვა-ლხენის ზღვართან მისულა.
თუ მზისქვეშეთში არაფერი არ შეიცვლება,
გინდა იცოცხლე, გინდაც სული მყის ამოსულა!

* * *

ბედი ბურთივით გვათამაშებს ნიადაგ ჩვენა,
საითაც წავა, უნდა წაჰყვე, გზა თუ გიჩვენა.
სად გადაგისვრის, ანდა ვისთან მიგიჩენს ბინას,
მხოლოდ მან უწყის მოსვლა-წასვლა, ყოფნა-დარჩენა.

* * *

აისის სიომ როს მოჰგვარა შენი სურნელი
გულს, მე დამთმო და, შენი ნდომით განუკურნელით
აღივსო სრულად, ძებნად შენად გაიჭრა უმალ,
აღარც ვახსოვარ, შენ დაგეძებს შენი მსურველი.

* * *

თუ ჩემს ნებაზე ვერ ვიცხოვრებ წუთისოფელში,
ზეცა თუნდ შვიდი იყოს, თუნდ რვა – ზემოთ, სივრცეში,
თუ მაინც უნდა მოვკვდე, მაშინ რა ბედენაა,
მგელი შემჭამს თუ ჭია დამხრავს მე სამარეში.

* * *

მომეც წამალი კაეშნისა, რომ მოვილხინო,
ლალისფერ ღვინით სავსე თასი არ მომაწყინო!
თუ მართლა გინდა, მწუხარებამ აგაღოს ხელი,
არ მოიძულო ჩონგური და წითელი ღვინო!

* * *

რისგან შევქმნილვარ, არ ვუწყი და სულშიც ნისლია,
სამოთხე მელის? ჯოჯოხეთი? ნეტავ, ვისი ვარ?

მოგოლური მინიატურა

ჰოდა, თუ არის ჩანგი, ღვინო, სატრფო წყაროსთან,
ეს არის ნაღდი, სამოთხე კი – მხოლოდ ნისია.

* * *

ხაიამ, ცოდვებს ნუ მისტირი! შენი ვნებანი
აღარ იწუხო, უცოდველი ნუ გსურს ებანი!
ყოვლისმოწყალეს უცოდველი აბა, რად უნდა?
მან ცოდვილს უნდა მიუტევოს შეცოდებანი.

* * *

სიზმრად ვნახე, ბრძენმა მითხრა: „ადექ, რა დროს ძილი არი!
ძილში ვარდი არსობისა ჭკნება, განა შლილი არი!
არ დანებდე, ეგ ვერაგი თვით სიკვდილის შვილი არი!
მოკვდები და ძილისათვის მიწა გადაშლილი არი..."

* * *

თუ ვარდები არ მხვდა წილად, დავჯერდები ეკალს მაშინ,
თუ სინათლე არ მეღირსა, გამინათებს ცეცხლის რაში,
თუ შეიხიც არ გამოჩნდა, დავრჩი სულ-ხორცის ამარა,
ეკლესიას მივაშურებ მოწკრიალე ზარის მარშით.

* * *

„ყურანს“ ბოლომდე ჩაიკითხავს მარტოდენ ბრძენი,
თუმცაღა, ყველა ვერ გაიგებს ამ წიგნის ენას,
მაგრამ ღვინის ჯამს ვინც გამოსცლის, კარგად გაიგებს,
მის ფსკერზე თუკი ვინმემ რამე სიბრძნე დაწერა.

* * *

მიკიჟინებენ, შემისრულდა სამოცი წელი,
ასეა, თუმცა ღვინის სმას არ ავაღე ხელი.
გვერდით ხელადა, ხელში ჯამი გეჭიროს უნდა,
ვიდრე ეგ თავი არ გამხდარა ღვინის ჭურჭელი.

* * *

მარადისობის არსში აბა, ვის ჩაუხედავს,
არვის უცდია ახსნა მისი, ვერვინ გაბედა.
სუსტნი არიან ოსტატიც და მისი შეგირდიც,
ცოდვაა ყველა, მზისქვეშეთში ვინც შობა დედამ.

* * *

გული სულ ფეთქავს, არ ჩერდება არცერთი წამით,
ხან მეჩეთისკენ ილტვის, ხანაც უჭირავს ჯამი.
ღვინოს დავლევთ და სატრფოსაკენ გავეშურებით,
ღვინის სარდაფში გვიშუშდება ლოცვების შხამი.

* * *

დალიე ღვინო, სხვა სიამე ქვეყნად არ არის,
იმხიარულე, დატკბი ხმებით დავითის ქნარის!
რაც გარდასულა, ვერ ეწიე, სევდად არა ღირს,
განა ოდესმე გაფურჩქნილა ყვავილი მჭკნარი.

* * *

მე ლოთი ვარ თუ მეტრფე ღვინის, რაც ვარ, ესა ვარ.
თუნდ სალოცავად კერპი მყავდეს, რაც ვარ ესა ვარ.
ზოგიერთისთვის – ურწმუნო და რჯულის არმქონე,
თუმც ვიცი, გულში რაიც ღვივის, რაც ვარ, ესა ვარ.

* * *

ღვინო უძლურსაც გოლიათის შემატებს ღონეს,
ბორკილდადებულს შვებას მოჰგვრის, არ დააღონებს.
თავად ეშმაკიც, თუკი დალევს, ორიათასჯერ
წამოიჩოქებს, ლოცვის ჰანგებსაც გაგაგონებს.

* * *

კმარა, უფალო, ჩემი ეგრე უმწეო ყოფა –
ტანჯვა - წამება, მწუხარების ცრემლების როფვა!
თუ არაფრისგან შეჰქმნი რამეს, არც ის არ მინდა,
არაფრისაგან მე რომ შემქმენ, ისიც გეყოფა!

* * *

გახსოვდეს, მალე გაიყრება ხორცი და სული,
დასტოვო უნდა ეს სოფელი, გაჩერდეს გული.
შენ არც კი იცი, როგორ მოხველ ან საით წახვალ,
მაშ, შესვი ღვინო, გქონდეს ლხინი წრეგადასული!

* * *

ოდეს მოვკვდები, განმიბანეთ ღვინით სხეული,
ღვინით მომირწყეთ მე საფლავიც – ჩემებრ ეული,
კვირაობით კი, ჩემი ხილვა თუკი გენებოთ,
ღვინის სარდაფის მტვერში მნახეთ გამოხვეული.

* * *

ბოლოს და ბოლოს ურწმუნობას და რწმენას შორის
ზღვარი ახლოა, ნუ გგონიათ ძალიან შორი.
შეცნობის წიაღ რაც კი რჩება შეუცნობელი,
ერთი კითხვაა წამიერი, მომცველი ყოვლის.

* * *

ჰე, მერიქიფევ, ჩვენზე ადრე წავიდა ვინაც,
გადაეგო და შავ მიწაში დაიდო ბინა.
ჰოდა, გაავსე უშურველად ბოლომდე ჯამი!
მითხარ, ვინც არ სვამს, ნეტავ, ამით რა შეიძინა?!

* * *

ჰე, მეგობარო, ნუ მოიწყენ, ნუ დაღონდები,
არც გარდასულზე არ დახარჯო შენი ფიქრები.
რაც იყო, ვიცით, მომავალი არავინ უწყის,
იმხიარულე, დარდ-ვარამში ნუღარ იქნები!

* * *

ჭეშმარიტება რადგან ახლა ძალზე შორია,
წუთისოფელი ურგოა და მხოლოდ ჭორია.
დავლიოთ ღვინო, სულ ერთია, ამ ცრუ სოფელში
გინდ მთვრალი იყავ, გინდ – ფხიზელი, ასე მგონია.

* * *

ბედო მდევარო, შენს სიავეს ვერ აღვწერ ენით,
ო, რა უღმერთოდ დამიფლითე პერანგი ლხენის!
ჩემკენ მქროლავი ნიავიც კი ცეცხლს გაატანე,
პირში წყალიც კი მიწად მექცა, წყეული შენით.

* * *

მოწყალე კი ხარ, ღმერთო, მაგრამ არ არს ახალი,
ურწმუნოთათვის რომ ჩარაზე სამოთხის კარი.
ვინაც გიწამა, მას თუ ცოდვას შეუნდობ ხოლმე,
ურწმუნოს რატომ მოარიდე წყალობის თვალი?!

* * *

მას, რაიც შენთვის დაადგინა უკვე განგებამ,
არ მოაკლდება მისხალი, არც დაემატება.
იყავი მშვიდად, რაც არსებობს, ის უნდა იყოს,
ნუ დაღონდები, რაც ყოფილა, მუდამ იქნება.

* * *

დოქის ტუჩს ტუჩი შევაგებე ეშხით ვნებისა,
მწადდა, მომეშთო ჟინი ჩემი გულისთქმებისა;
დოქიც დამაცხრა, დამეკონა და ჩამჩურჩულა:
„– შესვი, მეორედ ვეღარ მოხვალ შენის ნებისად!"

* * *

ღვინის მაგივრად მე წყურვილს წყლით მოვიკლავ როდი,
თუნდ ტანჯულ ხელში სავსე ჭიქა შერბეთად კრთოდეს,
პურს არასოდეს არ დავაწებ სხვათა მარილზე,
თუ მწვადად ჩემი ღვიძლი არ დევს სუფრაზე ოდენ.

* * *

არსთაგამრიგემ, ვინაც შექმნა ეს ყველაფერი,
სიხარულსაც კი მწუხარების დაადო ფერი;
ბევრი ხუჭუჭა, ლოყებვარდა და თვალწარმტაცი
მიწის ბნელ ყუთში გამოკეტა ულმობელ ხელით.

* * *

მოლა მუსტაფას მოწიწებულ სალამს მივაგებ,
უმორჩილესად ვეაჯები, ამიხსნას ეგებ:
რატომ გვიკრძალავს ჩვენ „ყურანი“ ღვინის დალევას
და ღვინისა წილ მჟავე მაწვნის სმას რად გვარიგებს?

* * *

თუ ნახევარი მაინც გაქვს პური,
ჩამოსაჯდომად - პატარა ყურე,
არც მონა გყავს და არცა სხვას ჰმონებ,
რაღა გაქვს ქვეყნად შენ დასამდური?!

* * *

ვინაც ტაძრებში და სკოლებში დაიარება,
იმედოვნებს, რომ ეღირსება ედემში შვება;
უფლის სამართალს რეალობას თუ შეუდარებს,
არ დაიჯერებს, ცრუ იმედს არ დაემონება.

* * *

ღვთის ნებიერას, ქუდბედიანს მაინც გახსოვდეს,
შენს კარავს ძველი საყრდენი აქვს და არასოდეს
არ ენდო! თუკი სხეულია კარავი სულის,
სუსტია იგი და იმედი მისი არ გქონდეს!

* * *

ვინ არის ქვეყნად, ვისაც ცოდვა არ დაებედა?
ან უცოდველმა ვით იცხოვრა უმწიკვლოდ, ნეტა?
ჩემი სიავე სიავითვე რომ დამიბრუნე,
ჩვენში სხვაობა სადღა არის, ან ვინა ხედავს?!

თარგმნა **თინა შიოშვილმა**

ქართველ დედათა სავანე სცამშოლოში

XIX-XX საუკუნეთა მიჯნა

ანა (ელისაბედ) ბეჟანიძე

XIX საუკუნის II ნახევარში საქართველოში და განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთში, ქართველ კათოლიკეთა მდგომარეობა გაუარესდა, საუკუნის დასაწყისში განვითარებულმა მოვლენებმა, რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის თანდათანობით დაპყრობამ, დიდი გავლენა მოახდინა საქართველოში მყოფ კათოლიკე მისიონზეც. კერძოდ, ეს იმით გამოიხატა, რომ კათოლიკური აღმსარებლობის თავისუფლად გავრცელების საშუალება მოისპო. რუსეთის მთავრობამ მისიონერები 1845 წელს გააძევეს საქართველოდან. ქართველი კათოლიკე მრევლი მღვდლების გარეშე დარჩა. სომხური კათოლიკური ეკლესია დაეპატრონა ლათინურ რიტზე მდგარ ქართველ კათოლიკეთა ეკლესიებს. იმავდროულად გააძლიერეს უსაფუძვლო ცილისწამება ისტორიულად ქართველ კათოლიკეთა არარსებობის შესახებ. იმ დროიდან ქართველ კათოლიკეთა ისტორიაში დაიწყო ახალი პერიოდი: კათოლიკობისათვის – ქართველობისათვის ბრძოლის პერიოდი პეტრე ხარისჭირაშვილის მეთაურობით. ის მრევლთან ერთად ეროვნულ პოზიციებზე დარჩა და ყველანაირად ცდილობდა წინააღმდეგობა გაეწიათ მოწინააღმდეგეთათვის. გადაწყვიტა დაეარსებინა ქართული ძმობა, რომელიც ქვეყანას მოუმზადებდა ახალ პატრიოტულ ძალებს და ფეხზე დააყენებდა მას. თუმცა ამ მიზნის სამშობლოში განხორციელების საშუალება არ მისცეს. ამიტომ იგი 1857 წელს გადავიდა ოსმალეთში. მან რომის პაპის პიო IX-ის წარმომადგენლის – მთავარეპისკოპოსის ბრუნონის დახმარებით 1859 წელს მიიღო მკვიდრი სამსახური მოწყალების დათა მონასტერში. ასევე, სტამბოლში ქართველ კათოლიკეთა კონგრეგაციის შექმნის ნება ქართული ენითა და ტიპიკონით. იმავე წელს მამა პეტრემ ცნობილი მეცენატის იაკობ ზუბალაშვილის ფინანსური დახმარებით, სტამბოლის გარეუბანში – ფერიქოში შეიძინა მიწის მოზრდილი ნაკვეთი, სადაც 1861 წელს ააშენა წმინდა მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია. უნდა აღინიშნოს, რომ ფერიქვეის ძმობამ იურიდიული ძალმოსილება მიიღო 1861 წელს. აღსანიშნავია ისიც, რომ პეტრე ხარისჭირაშვილმა იმთავითვე დაიწყო ზრუნვა ქართველ დედათა მონასტრის დაარსებისათვის. ფერიქოში მამათა სავანის ახლოს გამოუყო მიწის ნაკვეთი, თავისი ხარჯით ააშენა მონასტერი და მათი საცხოვრებელი შენობა. მისი ძალისხმევით დედათა მონასტრის იურიდიული არსებობა საეკლესიოდ აღიარებული იქნა 1871 წლის 9 მკათათვეს.

სტამბოლის მამათა სავანისაგან განსხვავებით, სამწუხაროდ, ნაკლებად არის ცნობილი დედათა მონასტრის ისტორია. შეიძლება ითქვას, რომ დღემდე ადგილი არ ჰქონია მის შესწავლა-გამომზეურებას. მამათა სავანის ფონდ-არქივში დაცული მასალა ამის საშუალებას იძლევა. პეტრე ხარისჭირაშვილს სურდა, რომ მამათა და დედათა სავანეებში აღზრდილ მოწაფეებს ჰქონოდათ ძლიერი ეროვნული ცნობიერება და საფუძვლიანად სცოდნოდათ მშობლიური ენა. შეიძლება ითქვას, რომ პეტრე ხარისჭირაშვილმა სტამბოლის ორივე ქართველ კათოლიკეთა სავანის სახით შექმნა, როგორც ქართული კულტურის, მეცნიერებისა და ქრისტიანული ეკლესიის მძლავრი კერები, რომელსაც 1890 წლამდე თვითონ ხელმძღვანელობდა.

„სავანემ იმთავითვე თავი მოუყარა როგორც ბერებს, აგრეთვე მონაზვნებსაც. ესე იგი დაწესდა ფაქტობრივად ორი მონასტერი: მამათა და დედათა. – ორთავე ერთი და იგივე სახელწოდებით: ღვთისმშობლის უმანკოდ ჩასახვის მონები. მონაზვნებმა დაარსებიდანვე ხელი მიჰყვეს საპედაგოგიო მოღვაწეობას, მათ სკოლაში სწავლას იძენენ როგორც ქართველი, აგრეთვე უცხოეთის ქალიშვილებიც.“, – წერდა **რაფიელ ინგილო.**

აღსანიშნავია, რომ სტამბოლში დაარსებულ მამათა და დედათა სავანეებს შორის, წლების შემდგომ, გარკვეული უთანხმოება ჩამოვარდა. მათ შორის დავამ ბევრი ინფორმაციის გამომზეურება გახადა შესაძლებელი. შეიძლება ითქვას, რომ დედათა სავანის ქომაგი იყო რაფიელ ინგილო (იგივე ივანიცკი, რომის პაპის კარზე არჩეული იყო როგორც საქართველოს ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოს წევრი. ე.ი. იყო ვატიკანში საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელი). მან თავისი წერილი დაბეჭდა პარიზში, 1930 წელს ჟურნალ „დამოუკიდებელ საქართველოში“ (N55). აღნიშნულმა წერილმა დიდი პოლემიკა გამოიწვია. საზოგადოება გაკვირვებული და დაბნეული იყო. არ ფლობდნენ სრულ ინფორმაციას. შეურაცხყოფილი და უკმაყოფილონი დარჩნენ სავანის მამები. იქამდე, სანამ სავანეში მოღვაწენი უპასუხებდნენ წერილის ავტორს, მამა შალვა ვარდიძემ, 1930 წლის 29 აგვისტოს, წერილი მისწერა გაზეთის რედაქტორს ურატაძეს და აცნობებდა: *„სავანის წინამძღვარი შემთხვევით გაეცნო მათ გაზეთში დაბეჭდილ რაფიელ ინგილოს მთლათ სიმართლეს მოკლებულს და სრულიად უტაქტო წერილს, რომელიც ვალდებულს გვხდის მოვთხოვოთ პასუხი ბატონ ინგილოს.“*

საპასუხო ვრცელი წერილი მოამზადა მამა შალვა ვარდიძემ. სავანის არქივში ინახება 1930 წლის 13 სექტემბრით დათარიღებული წერილი. რომელიც დასაბეჭდად გადაუგზავნა ჟურნალ „დამოუკიდებელი საქართველოს.“ მამა შალვამ წერილში მკითხველს დეტალურად მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ პეტრე ხარისჭირაშვილმა, თავის დროზე, როგორ მოისურვა და შეძლო დედათა სავანის დაარსება: *„მამა პეტრემ მოლოზნების სავანის დაარსებისათვის რამდენიმე ქართველ მანდილოსანს მოუყარა თავი.... 1866 წლიდან დაწყებული გვეუბნება, რომ ამ საქმეს მეტი ცდა დასჭირდებოდა. 1869 წელს მოლოზნების კი ჯგუფია. მის იურიდიული არსებობა საეკლესიოთ აღიარებულ იქმნა მხოლოთ 9 მკათათვეს 1871 წელს. კათოლიკ მოლოზანთა სავანეც სტამბოლის ეპისკოპოსზეა მინდობილი. ვინაიდან რომელიმე მონასტრის დამტკიცება ეკლესიის მიერ არ შეიძლება, თუ* **მას ბინა და მტკიცე საცხოვრებელი არ** *აქვს.“* მიუთითებდა, რომ პეტრე ხარისჭირაშვილმა ისევე იზრუნა მოლოზნებზე, როგორც ბერებზე. თავისი ხარჯით გაზარდა მოლოზნების ბინა. მამათა სავანემ დაუთმო საკუთარი ადგილი, რაზეც მამა პეტრემ და მისმა მოწაფეებმა გააშენეს მოლოზნებისათვის საკუთარი ბინა და სასწავლებელი. რაც გადაეცათ დებს და ბოლომდე მათ კუთვნილებად დარჩა. ესეც არ იკმარა მოლოზნებს წესდებულებაში დაუწერა და მამათა სავანესაც უბრძანა, რომ დედათა სავანე ერჩინათ 10-15 წელს. რომელი ვადის შემდეგ მოლოზნებს თავისით ერჩინათ თავი. მამათა სავანემ იტვირთა მოლოზნების კვება და აღზრდა, ვიდრე 1903-1904 წელს, რამდენადაც მამათა სავანემ დედათა სავანეს საზრდოს მიცემა შეუწყვიტა 1900-1904 წლებში, გამოდის რომ დათქმული ვადა გაცილებით მეტხანს მოიცავს – ოცდაცამეტ წელს.

იმ დროიდან მოყოლებული მამათა სავანის ხელმძღვანელი აღარ იყო დედათა სავანის წინამძღვარი. ე.ი. მას აღარ ექვემდებარებოდა. მათი გაყოფა კი პაპის დელეგატის უწყებით გაფორმდა.. მონსინიორ ტაჩის ბრძანებით მამათა სავანის წინამძღვარს არ ჰქონდა უფლება დედათა სავანის საქმეებში ჩარევისა. მის შემდგომ სავანის წინამძღვარი აღარ უნდა გარეულიყო მოლოზნების საქმეში.. სამწუხარო ისიც იყო, რომ *„მოლოზნებმა იმ დღიდან აღარ ისურვეს თავიანთი ნებაყოფლობით ჩვენ სავანესთან მეგობრული ურთიერთობა, კავშირი და იყოლიეს ყოველთვის უცხო მოძღვარი დამრიგებლათ და მრჩევლათ..“*

დედათა სავანის დაარსების შემდეგ პეტრე ხარისჭირაშვილმა 1869 წელს ხელმეორედ დაწერა ანდერძი და დაამოწმებინა პაპის წარმომადგენელს. მომდევნო წელს, 10 აგვისტოს კი დაამოწმებინა სამოქალაქო ხელისუფლების კანცელარიაში. კერძოდ, ანდერძში მამა პეტრე მიუთითებდა, რომ მონასტრის ქონება ეკუთვნოდა ქართველ კათოლიკე ბერებს *„არც ჩემ ნათესავებს, არც ქართველ ერს, არც ერთ სხვა რომელიმე პირს არ ექმნება უფლება უქმნას დავა ზემოხსენებულ საკუთრებაზე ხსენებულ ბერებს.“*

სავანის ბერებს არ ჰქონდათ პეტრე ხარისჭირაშვილის ანდერძის დარღვევის უფლება. ამასთანავე, რაც შეეხება სავანის მამულებს, ის დამტკიცებული იყო კერძო პირებზე *„რადგან ოსმალეთში ვახუფის კანონების ძალით სხვანაირად არ შეიძლებოდა. ხოლო კერძო პირები თავიანთი საკონსულოების მეშვეობით აცხადებდნენ, რომ იგინი იყვნენ მხოლოდ სახელის მიმცემნი და არც მათი და არც მათი ჩამომავლობისა, არამედ ქართველ კათოლიკე ბერების ფულით ნაყიდი.“* ამასთანავე, პირველი მსოფლიო ომის დროს, მამათა სავანემ, უცხო პირებზე გაფორმებული მამულები იურიდიული გზით და სასამართლო წესით დაიმტკიცა. მიუთითებდა, რომ *„მოლოზნების მამულები და აქტები მათ ხელში იყო და იმჟამადაც მათ ჰქონდათ“.* და თუ წარუდგენდა ე.წ. შემოწირულობათა აქტებს, პირობას სდებდა, რომ ყველაფერს დაუთმობდა მოლოზნებს.

რაფიელ ინგილო საყვედურობდა ქართველ ბერებს იმას, რომ ოცდაექვსი წლის განმავლობაში არ მოისურვეს დედათა სავანის პრობლემების მოგვარება: *„იქ ამჟამად უცხოელები დაფარფატებენ. მას არ უნდა გამოეწვია ჩვენი გულისტკივილი? ეს არ უნდა გვეცნობებია ქართველი საზოგადოებისათვის?“* მამა შალვამ ქართველ საზოგადოებას გააცნო საქმის ვითარება. რაფიელ ინგილოს კი დასაბუთებული პასუხი გასცა იმასთან დაკავშირებით, თუ მამათა სავანემ რატომ ვერ შეძლო დახმარება გაეწია დედათა სავანისათვის. დედათა სავანის საკითხისადმი ქართველი საზოგადოების ინტერესი დიდი იყო. მათთვის ბევრი რამ იყო გაუგებარი. შეიძლება ითქვას, რომ რაფიელ ინგილომ, ერთი მხრივ, დიდი სამსახური გაუწია თავისი საგაზეთო სტატიის დაბეჭვდით. როგორც ზემოთ ითქვა, ამას მოჰყვა პოლემიკა, – მამა შალვა ვარდიძის საპასუხო წერილები. შესაბამისად საზოგადოებისთვის ყველაფერი ნათელი და გასაგები გახდა.

სტამბოლის დედათა სავანის შესახებ ჯერ კიდევ 1912 წელს, საზოგადოებამ საინტერესო ინფორმაცია მიიღო „სახალხო გაზეთში“ დაბეჭდილი დავით ჩიქოვანის სტატიით – „სტამბოლის ქართველ დედათა მონასტერი“. ავტორი წერდა, რომ დედათა მონასტერს, მამათა მონასტრის მსგავსად, სურდა თავისი წვლილი შეეტანა ეროვნულ საქმეში. იქ მოღვაწეობდა თექვსმეტი ქართველი და, „მეტწილად, უმაღლესი სასულიერო განათლებით,“ ეწეოდნენ პედაგოგიურ მოღვაწეობას. ჰქონდათ ორი ფრანგული სკოლა-პანსიონი, სადაც იზრდებოდნენ უცხოელები, რადგან ქართველ მონაფეთა რიცხვი ცოტა იყო. მათ სურდათ, რომ საქართველოდან ჩაეყვანათ ღარიბთა შვილები, მიეცათ ქართულ-ფრანგული განათლება და ასე გაეწიათ სამსახური სამშობლოსათვის. რამდენადაც არ ჰქონდა საკმარისი შენობა, დახმარებისათვის მიმართეს ცნობილ ქველმოქმედებს – ძმებ ზუბალაშვილებს. წინამძღვარმა ელისაბედ ბეჟანიშვილმა, იმისათვის, რომ დაკავშირებოდა ზუბალაშვილებს, დახმარების თხოვნით მიმართა ფილიპე გოგიჩაიშვილს: *„სტამბოლში მყოფ ქართველ კათოლიკე დების სახელით გთხოვთ, გაგვიწიოთ სამადლობელი და ეს ჩვენი თხოვნა, რომელიც შეეხება ქართველ კათოლიკეთათვის ფრიად მნიშვნელოვან კითხვას, დანიშნულებისამებრ გადასცეთ საზოგადო ქველმოქმედ ზუბალაშვილებს ჩვენი გაჭირვება და უამბოთ ჩვენი უმწეობაში ჩავარდნილი ყოფის შესახებ. ძალიან გთხოვთ, თქვენო კეთილშობილებავ, უამბოთ, არ დაგვტოვოთ უყურადღებოდ ამ უცხო ქვეყანას შეხიზნული დედათა მონასტრის წევრები.“*

შალვა ვარდიძე

როგორც სავანის ფონდში არსებული მასალებიდან ჩანს, სტამბოლის ქართველ კათოლიკე დედათა მონასტრის წინამძღვარი ელისაბედ ბეჟანიძე ძალ-ღონეს არ იშურებდა ამ კეთილშობილური მიზნის მისაღწევად. მას ეიმედებოდა – ქველმოქმედი თანამემამულეები – ძმები ზუბალაშვილები. ამიტომაც იყო, რომ 1920 წელს პირადად მათ მისწერა წერილი და დეტალური ინფორმაცია მიაწოდა დედათა სავანის შესახებ. კერძოდ, ის, რომ დედათა სავანეს ჰქონდა ქალთა სკოლა. პედაგოგები მხოლოდ ქართველი დები იყვნენ, მოწაფენი კი *„სხვა ტომის შვილები.... შრომა ხმარდებოდა არა თავის დანიშნულებას... ჩვენს მოვალეობას ჩვენი ერის წინაშე გვაროვნად ვერ ვემსახურეთ“.* მოახსენებდა, რომ სურდათ საქართველოდან ჩამოეყვანათ აღსაზრდელები, მომზადებულებს კი სამშობლოში დააბრუნებდნენ. ოცი-ოცდახუთი მოსწავლე ქალის შენახვასა და აღზრდას შეძლებდნენ. შესაბამისად მათ სჭირდებოდათ *„მონასტერში ერთი სახლის აშენება სკოლისათვის და მოსწავლე ქალთათვის შიგ სადგომ-ბინისათვის“.* თხოვნით მიმართავდა თანადგომას ამ ეროვნული საქმისათვის.

დავით ჩიქოვანი მიუთითებდა, რომ ქართველ დებს ჰქონდათ ქალთა ორი ფრანგული სასწავლებელი. ერთი სტამბოლში და მეორე დარდანელთან: *„მონასტრები სამისიონეროა და რასაკვირველია რომის პროპაგანდა მფარველობს. დღევანდლამდე მათი მოღვაწეობა იყო თითქმის მხოლოდ სარწმუნეობრივ ფარგალში, ერისათვის მათ განსაკუთრებითი არა შეუმატნიათ რა, რაც აიხსნება მრავლის მიზეზებით.“* ვფიქრობთ, დავით ჩიქოვანის საგაზეთო სტატია, რაც დავის დაწყებამდე გაცილებით ადრე დაიწერა, მოიცავდა საინტერესო ინფორმაციას და ნათელს ჰფენდა შექმნილ ვითარებას.

სტამბოლის მამათა სავანის დამოკიდებულება დედათა სავანისადმი ასევე კარგად სჩანს სავანის წინამძღვრის **ალიოზ (შიო) ბათ-**

მანაშვილის დღიურიდანაც. კერძოდ, იგი წერდა: *„დავინიშნე უმფროსად 1922 წლის იანვრის 27-ს....*

11.02 ვიზიტათ მოვიდნენ ჩვენი დები. ლოცულობენ ჩვენთვის, რათა შევძლოთ მათი დახმარება. დავარწმუნე, რომ ჩვენს პირველ მიზანს ეგ შეადგენს...

12.02 ჩვენს დებს ვიზიტი გადავუხადე. მარტივად განვუმარტე, რომ ჩვენთვის გაშენებამდე, ჯერ მათთვის გავაშენებთ რიგიან ბინას. მთელი დები მოვიდნენ – რიცხვით 12 სული. ბოლოს კურთხევა მოინდომეს, რომელიც ქართული წესით მივეცი. ვიზიტი გადავუხადე პატარა დებს.“

მამა ალიოზ (შიო) ბათმანაშვილის ჩანაწერებიდან ნათლად ჩანს, რომ სტამბოლში არსებულ დედათა და მამათა სავანეებს შორის არ იყო დაძაბულობა. ერთმანეთის მიმართ ურთიერთ პატივისცემა და პასუხისმგებლობა გააჩნდათ. სავანის წინამძღვრები ყოველთვის იჩენდნენ ყურადღებას დედათა მიმართ. მათზე ზრუნვა თავიანთ მოვალეობად მიაჩნდათ. როგორც მოძიებული მასალებიდან ჩანს, სტამბოლის ქართველ დედათა მონასტრის წინამძღვარი დახმარების თხოვნით ხშირად მიმართავდა ქართველ საზოგადოებას საქართველოშიც და სტამბოლშიც.. მამათა სავანის არქივ-ფონდში ინახება 1913 წლის 10 დეკემბრით დათარიღებული წერილი: *„თანახმად თქვენის თხოვნისა ქართველ თავადაზნაურების წინამძღოლთა და დეპუტატთა საკრებულომ და მასთან შედგენილმა კომისიამ ორასი მანეთით დახმარება დაუნიშნა თქვენს განკარგულებაში მყოფ პანსიონს.“* *თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი თავადი კოტე აფხაზი.* ამ თვალსაზრისით, ასევე საყურადღებოა სტამბოლის ქართველ დედათა მონასტრის წინამძღვრის **ელისაბედ (ანა) ბეჟანიძის** მიერ ნიკოლოზ ელიავასადმი გაგზავნილი წერილი: *„ვიძღვნით გულითად მადლობას იმ სამოცი მეტრი შეშის მოცემისათვის, რომელიც თქვენმა ამხანაგობამ მოგ-*

→

ბონდო არველაძე - „სამცხე-ჯავახეთის ბედისწერა“

ქართველმა საზოგადოებამ ახლახან მიიღო ბატონ ბონდო არველაძის კიდევ ერთი და, ამასთანავე, მრავალმხრივ საყურადღებო ნაშრომი – „სამცხე-ჯავახეთის ბედისწერა“. სამეცნიერო საზოგადოება კარგად იცნობს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ენათმეცნიერს, არმენისტს, ლიტერატურათმცოდნეს, სამშობლოს ერთგულ და მუხლჩაუხრელ მამულიშვილს. იგი რამდენიმე ათეული ნაშრომის ავტორია და დღემდე ნაყოფიერ მეცნიერულ მოღვაწეობას ეწევა. ბოლო წლების განმავლობაში კი არაერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო ნაშრომი და სტატია გამოსცა. მან ქართულ სამეცნიერო მემკვიდრეობაში თავისი ფუნდამენტური ნაშრომებითა და კვლევებით მთელი ეპოქა შექმნა.

ბატონი ბონდო თავისი წიგნის ეპილოგში აღნიშნავს, რომ „ცხოვრების მინურულს“ (გასულ წელს ოთხმოცდაათი წელი შეუსრულდა) ამ ნაშრომით ვალი მოიხადა სამცხე-ჯავახეთის წინაშე. იქვე იძლევა ახსნა-განმარტებას: **„მკითხველი ალბათ ფიქრობს, რატომ მაინცდამაინც ავირჩიე სამცხე-ჯავახეთი. ეს მხარე წარმოადგენს მესხეთის განუყოფელ და ორგანულ ნაწილს. დედით ვარ მესხი და ბავშვობისა და ყრმობის უზრუნველი დღეები აქ მაქვს გატარებული. მოხიბლული ვიყავი მისი მკაცრი, მაგრამ ანდამატივით მიმზიდველი ბუნებით. მთებს შუა ღრმა ჭრილობასავით გასერილ მტკვარში მიბანავია და ფოცხოვში თევზი დამიჭერია. ღვთის სული ტრიალებს ამ არამიწიერ, დალოცვილ მიწაზე“.** სამცხე-ჯავახეთის უბადლო დახასიათების შემდეგ, ავტორი მკითხველს ანდობს განსჯას იმისას, თუ როგორ მოიხადა ვალი დედულეთის წინაშე.

დავიწყოთ იმით, რომ მკითხველი გულგრილი ვერ დარჩება ნაშრომის სათაურის – „სამცხე-ჯავახეთის ბედისწერა,“ მიმართ. შესაბამისად მაშინვე გაუჩნდება მისი წაკითხვის სურვილი, გარკვევა იმისა, თუ რომელ ისტორიულ პერიოდს განიხილავს ავტორი. უნდა ითქვას ისიც, რომ საზოგადოება დიდი ინტერესით ელოდებოდა წიგნს მას შემდეგ, რაც გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთში“ განთავსდა ინფორმაცია აღნიშნული წიგნის გამოცემის შესახებ.

წიგნის შინაარსმა მოლოდინს გადააჭარბა. ერთი ამოსუნთქვით იკითხება. ავტორს, ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით, განხილული აქვს სამცხე-ჯავახეთის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე რთული პერიოდი – XIX საუკუნე. საუკუნე, რომელშიც დიდი პოლიტიკური მოვლენები განვითარდა: თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლება, რუსეთის იმპერიაში შესვლა, ძლიერი კოლონიზაცია, მოსახლეობის მიგრაცია, ეროვნულ-რელიგიური ჩაგვრა და ა.შ. ყველაფერი ეს ავტორმა ცალკე თავებად წარმოადგინა: სამცხე-ჯავახეთის ბედისწერა; სომეხთა შემოსახლება სამცხე-ჯავახეთში; სომეხთა შემოსახლება ახალციხეში; ქართული ეკლესია-ტაძრების ბედი სამცხე-ჯავახეთში; ახალციხე, ახალქალაქის რაიონი.

ავტორმა ნაშრომი მეცნიერულ-პოპულარული ნარკვევის სახით წარუდგინა მკითხველს. რათა ყველასათვის ყოფილიყო ადვილად გასაგები და გასააზრებელი. ამასთანავე, დამაჯერებელი პასუხი გასცა არაერთ კითხვას, რომელზეც საზოგადოებას არ აქვს სწორი პასუხი. ის არ მოერიდა გაეშუქებინა ისეთი საკითხები, როგორიცაა სამცხე-ჯავახეთში სომეხი ეროვნების ხალხის ჩამოსახლება, მეფის რუსეთის როლი და ინტერესები ამიერკავკასიაში, სომხეთის მხრიდან ქართული ეკლესიების მითვისება და ამ საკითხზე წამოჭრილი დავა და ა.შ. მისი მიზანი არის წყარო-მასალებზე დაყრდნობით, როგორც ქართველი, ისე სომეხი ეროვნების ისტორიკოსთა ნაშრომების მოშველიებით, სიმართლის დადგენა. იმ სიმართლისა, რომელიც სჭირდება ორი ქვეყანის – საქართველოსა და სომხეთის კეთილმეზობლურ ურთიერთობას.

ბატონმა ბონდომ, მისთვის ჩვეული მეცნიერული პატიოსნებით, წყარო-მასალების გამოყენებით, განიხილა დასახელებული საკითხები. მას კარგად მოეხსენება, საყოველთაოდ აღიარებული, ქართველი ერის შემწყნარებლური ხასიათი სხვა ერთა მიმართ და ის, რომ ამის საუკეთესო მაგალითს სამცხე-ჯავახეთი და ქალაქი ახალციხე წარმოადგენს. 2008 წელს ქალაქ ახალციხეს ტოლერანტი ქალაქის სტატუსი მიენიჭა. ისტორიულად განვითარებულმა მოვლენებმა კი განაპირობა ის, რომ ქალაქ ახალციხეში (ძველ ნაწილში – რაბათში) ქართულ მართლმადიდებელურ ეკლესიასთან ერთად არის სინაგოგა, მეჩეთი, გრიგორიანული და კათოლიკური ეკლესები. ამასთანავე, ისტორიაში არ არსებობს თუნდაც ერთი ფაქტი იმისა, რომ მრავალეროვნულ და მრავალკონფესიურ სამცხე-ჯავახეთში ადგილი ჰქონოდა ეთნო და რელიგიურ კონფლიქტს.

სამცხე-ჯავახეთში სომეხთა ჩამოსახლების საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგად არის შესწავლილი. ბატონმა ბონდო არველაძემ თავის ნაშრომში ეს საკითხი დეტალურად და კომპაქტურად წარმოადგინა, კერძოდ, განხილული აქვს ქართული თუ უცხოური (რუსული, სომხური) წყაროები და



სამეცნიერო ლიტერატურა. ამასთანავე, ყურადღებას იპყრობს ისეთი ინფორმაციებიც, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის არ არის ცნობილი. მაგალითისთვის დავასახელებთ შემდეგს:

1. ბევრისთვის არ არის ცნობილი ის, რომ არქიეპისკოპოს კარაპეტ ბაგრატუნის ნამდვილი გვარია ერზიკიანცი, „რომელმაც გაუკეთა ორგანიზება სომეხთა შემოსახლებას სამცხე-ჯავახეთში... იგი იყო სპერის სომხური ეპარქიის წინამძღოლი. ვინაიდან სპერი არის ქართველ ბაგრატიონთა პირველი სამკვიდრო, ამიტომ, მან გვარად აიღო – ბაგრატუნი“ (დასახ. ნაშრომი, გვ.27).

2. ასევე საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ 1830 წელს ახალციხეში სომეხთა პირველი ნაკადი შემოსახლდა – 1000 ოჯახი. შემოსახლებულმა სომხებმა კი მმართველს მოსთხოვეს ახალციხეს გადარქმეოდა სახელი და დარქმეოდა – „ახალი ერზრუმი“, რაზეც უარი მიიღეს. მეფის რუსიფიკატორული ხელისუფლებისთვისაც კი მათი მოთხოვნა მიუღებელი აღმოჩნდა... ნაშრომში მკითხველი კიდევ ბევრ სხვა საინტერესო ინფორმაციას გაეცნობა...

ბონდო არველაძე ნაშრომის ერთ-ერთ თავში – „ახალციხე“ – მდიდარი წყარო-მასალების გამოყენებით აშუქებს იქ არსებულ წმ. სტეფანეს და წმ. ჯვრის ეკლესიების ისტორიას. ორივე მათგანი იმ ეკლესიათა ნუსხაში შედის, რომელთა მიმართაც პრეტენზიას აცხადებს სომხური მხარე. კერძოდ, ეპ. მირზახანიანი. იგი საკითხს განიხილავს სხვადასხვა ავტორთა (არამარტო ქართველთა) ნაშრომების შეჯერებისა და არსებული მასალების გამოკვლევის საფუძველზე და ისე აკეთებს შესაბამის დასკვნას. ე.ი. ასაბუთებს ამ ძეგლების ქართულ წარმომავლობას. მდიდარი წყარო-მასალების გამოყენებით გაკეთებული დამაჯერებელი დასკვნები არის ერთ-ერთი სერიოზული მცდელობა იმისა, რომ დასრულდეს უსასრულო დავა წამოჭრილ საკითხთან დაკავშირებით.

ერთი მკითხველის პოზიციიდან მინდა ვთქვა ისიც, რომ სასურველია ნაშრომი გამოიცეს სომხურ ენაზეც, რათა სომეხი ეროვნების ადამიანებისათვის ხელმისაწვდომი იყოს მდიდარი წყარო-მასალა, რომელიც დაეხმარება შესაბამისი დასკვნების გამოტანაში.

ბატონმა ბონდო არველაძემ თავის ნაშრომში, გარდა იმისა რომ დეტალურად გადმოსცა სამცხე-ჯავახეთში განვითარებული მოვლენები XIX საუკუნიდან მოყოლებული XXI საუკუნის დასწყისის მდგომარეობით, საყურადღებოა, ისიც რომ ნაშრომს დაურთო იშვიათი ფოტოდოკუმენტური მასალა: „ახალციხის ციხესიმაგრის აღება პასკევიჩის მიერ (1828 წ),“ „ასპინძა XX საუკუნის 30-იან წლებში,“ „ახალქალაქი XIX საუკუნეში და ახალქალაქის ციხე“.

ბატონ ბონდოს ნაშრომით „სამცხე-ჯავახეთის ბედისწერა“ მკითხველი გაეცნობა ამ მხარის შეულამაზებელ და ჭეშმარიტ ისტორიას. ყველა ადამიანის ვალდებულებაა თავისი ქვეყნისა და კუთხის უტყუარი ისტორიის ცოდნა. ავტორმა ამ ნაშრომით (და არამარტო ამით) თავისი წვლილი შეიტანა სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მეტად მნიშვნელოვანი პერიოდების კვლევაში. შესაბამისად, ერთგვარად პატივი მიაგო და ბრწყინვალედ „მოიხადა ვალი დედულეთის წინაშე.“ და, საერთოდ, მისი თითოეული ნაშრომი არ არის მხოლოდ კარგი სამეცნიერო ნაშრომი, არამედ განძია, უხვი სამეცნიერო ლიტერატურის შეჯერებითა და წყარო-მასალებით დასაბუთებული. ავტორს მკითხველი საზოგადოება განებივრებული ჰყავს თავისი წერილებითა და წიგნებით. და კიდევ, ერთი მკითხველის პოზიციიდან, მინდა მადლობა ვუთხრა იმ სიამოვნებისათვის, რაც მისი ნაშრომის წაკითხვით მივიღე. ვიტოვებ იმედს, რომ ავტორი ქართულ სამეცნიერო მემკვიდრეობას მომავალშიც ფუნდამენტური ნაშრომებით შეავსებს.

ნატო ყრუაშვილი

ვცა მცირედი გადასახადით.“

სტამბოლის მამათა სავანე დიდი სიხარულით შეხვდა სამშობლოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას – საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადებას (1918 წლის 26 მაისი). მონასტერში არაერთი დღესასწაული გაიმართა. დედათა მონასტრის დედებმა მისასალმებელი სიტყვა გაუგზავნეს დამოუკიდებელი საქართველოს წარმომადგენელს კონსტანტინეპოლში: *„თქვენმა მობრძანებამ, სრულიად აგვივსო გული სიხარულითა.... გისურვებთ მტრის დაძლევასა, აღდგენას ჩვენი ტურფა საქართველოსი... ჩვენ სამშობლოთგან, დიდხანს დაშორებული, მოველოდით ამ ბედნიერ მოვლენას. თქვენი შემწეობით ვზრუნავდეთ უძლურთათვის...“* მამათა და დედათა მონასტრების წარმომადგენლებმა შეიმუშავეს საქართველოში საგანმანათლებლო საქმიანობის აღორძინების გეგმა. ქართველ ქალთა მონასტრის უფროსმა ელისაბედ პეტრეს ასულმა ბეჟანიშვილმა იმთავითვე (1919 წლის 3 სექტემბერს) გაუგზავნა თხოვნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგანთა და განათლების მინისტრს ნოე ბესარიონის ძე რამიშვილს. იგი წერდა: *„ჩვენ კონსტანტინეპოლში პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ დაარსებულ უმანკო ჩასახების ქალთა მონასტრის რვა კლასიან სასწავლებლის მთელმა წარმომადგენლებმა გადავწყვიტეთ, რომ ჩვენში, ახლო განთავისუფლებულ ნორჩ სამშობლოში, გაგვეხსნათ საშუალო სასწავლებლები, რათა შევძლოთ ჩვენს სამშობლოში შემოვიტანოთ ევროპული სწავლა-განათლება. რის გამოც უმორჩილესად გთხოვთ, ბატონო მინისტრო, ნება დაგვრთოთ საქართველოს რესპუბლიკაში, სახელდობრ, ახალციხეში გავხსნათ ქართულ და ფრანგულ ენაზედ საშუალო და პირველდაწყებითი სასწავლებლები“.* სწორედ ამ მისიით 1920 წელს ჩავიდა საქართველოში დედათა მონასტრის წინამძღვარი ელისაბედ (ანა) ბეჟანიძე. იგი ხელმძღვანელობდა დედათა მონასტერსაც და მასთან არსებულ ქალთა ქართულ-ფრანგულენოვან სკოლას. საქართველოს რესპუბლიკის კონსულმა კონსტანტინეპოლში ი.გოგელიშვილმა საქართველოს

აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი

რესპუბლიკას აცნობა, რომ *„კონსტანტინეპოლიდან საქართველოში მიემგზავრებიან ქართველ კათოლიკეთა დების უმანკო ჩასახების მონასტრის წინამძღვარი და სამი მონაზონი. საკონსულო სთხოვს მთავრობის წარმომადგენელთ გაუადვილონ მათ სამშობლოს ტერიტორიაზე მოგზაურობა და საჭიროების დროს ყოველივე დახმარება აღმოუჩინონ მათ“.* სამშობლოში ჩაბრძანებულმა სტუმრებმა საქართველოს მთავრობას სთხოვეს ნებართვა ქალაქ ახალციხეში ქალთა სასწავლებლის გახსნისა. როგორც მოძიებული მასალებიდან ჩანს, საქართველოს მთავრობამ თანხმობა გაცხადა შეთავაზებულ წინადადებაზე. 1920 წლის 18 ოქტომბერს დედათა სავანის წინამძღვარმა ელისაბედ ბეჟანიშვილმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგანთა და განათლების მინისტრს წარუდგინა სასწავლებლის დაარსებისათვის საჭირო ხარჯთაღრიცხვა. სადაც მიუთითებდა: *„თანახმად თქვენი ბრძანებისა, გიგზავნით ხსენებული სასწავლებლისათვის ხარჯთა აღრიცხვას.“* დატალურად იყო ჩამოთვლილი ყველა სახის საჭიროება: შენობა, ინვენტარი, კადრები. თავდაპირველი ხარჯი შეადგენდა ხუთასი ათას მანეთს. ამასთანავე ითხოვდა *„საქართველოს რესპუბლიკაში სასწავლებლის გახსნის მუდმივი უფლების ნებართვას, როგორც აუცილებელი, საჭიროა როგორც ადგილობრივ, აგრეთვე ევროპული წარმომადგენელთა წინაშე.“* ეს კეთილი და ქვეყნისათვის სრულიად საჭირო საქმე ვერ განხორციელდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ ეს საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნა.

მას შემდეგ, რაც საქართველომ კვლავ დაკარგა დამოუკიდებლობა, მთავრობა ევროპაში გაემგზავრა. მათ გარკვეული პერიოდი თურქეთში – სტამბოლში მოუწიათ გაჩერება, იქიდან კი საფრანგეთში წავიდნენ. ლტოლვილი თანამემამულეები, 1921 წელს, შეიფარა და უმასპინძლა ქართულმა სავანემ. ელისაბედ ბეჟანიძემ საქართველოდან ლტოლვილი მთავრობის ქალთა წარმომადგენლობას უმასპინძლა. ისინი დედათა მონასტერში რამდენიმე თვის განმავლობაში ცხოვრობდნენ..

აღსანიშნავია ისიც, რომ კონსტანტინეპოლის დედათა მონასტერში სწავლას აგრძელებდნენ ახალციხის (რაბათის) ქალთა უფასო სკოლის წარჩინებული კურსდამთავრებულები. მათ შორის იყვნენ: ნატალია გიორგაძე, აღათია გოზალიშვილი და სხვანი. აღნიშნული სკოლის დამთავრების შემდეგ, განათლების მისაღებად მშობლებმა ისინი გაგზავნეს სტამბოლში. იქვე იქნა აღკვეცილი მოლოზნად და სახელად უწოდეს ანა. მან იქ რამდენიმე წელი დაჰყო, ხოლო შემდეგ არქიმანდრიტ პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ გაგზავნილ იქნა საფრანგეთში, ქალაქ მოასკაში – დედათა მონასტერში. აღათია გოზალიშვილმაც, ახალციხის ქალთა სკოლის კიდევ ერთმა სახელოვანმა კურსდამთავრებულმა, განათლება მიიღო ჯერ კონსტანტინეპოლის დედათა მონასტერში, შემდეგ საფრანგეთში. შეიძლება ითქვას, რომ კონსტანტინეპოლის დედათა მონასტერში მრავალმა ქართველმა გოგონამ მიიღი შესაფერისი განათლება. ბევრმა მათგანმა, თავიანთი ნამუშევრებით, არაერთ გამოფენაში მიიღო მონაწილეობა და გამარჯვებაც მოიპოვა. ამასთანავე, ეწეოდნენ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც.

პროფესორი **შუშანა ფუტკარაძე** – სტამბოლის სავანეში მოძიებული მასალების საფუძველზე, კერძოდ, ელისაბედ (ანა) ბეჟანიძის დახასიათებისას წერდა: *„ელისაბედ (ანა) ბეჟანიძე სამი ათეული წლის განმავლობაში იყო დედათა მონასტრის წინამძღვარი და მონასტერთან არსებული ქართულ-ფრანგული სასწავლებლის ხელმძღვანელი. ამ სასწავლებელში ქართული პოეზიის ცეცხლი ენთო. ხშირად იმართებოდა პოეზიის საღამოები. მამათა მონასტერში მოღვაწე სასულიერო პირები დაჯილდოებულები იყვნენ შემოქმედებითი ნიჭით – წერდნენ საგალობლებს, ლექსებს, დღიურებს, მოთხრობებს. განსაკუთრებული მხატვრულობით გამოირჩეოდა სტეფანე გიორგაძის საგალობლები და შალვა ვარდიძის ლექსები. მონასტერში გამართულ ყოველ საღამოს წარმართავდა ელისაბედ (ანა) ბეჟანიძე.“*

ამრიგად, მამა პეტრე ხარისჭირაშვილის ძალისხმევით, სტამბოლში მამათა სავანის გვერდით, ათწლეულების განმავლობაში ფუნქციონირებდა ქართველ დედათა მონასტერი. მან ქართველ ღარიბ გოგონებს საშუალება მისცა მიეღოთ ეპოქის შესაფერისი ქართულ-ფრანგული განათლება. მისასალმებელია მათი მცდელობა იმასთან დაკავშირებითაც, რომ ცდილობდნენ საქართველოში ქალთა სკოლების გახსნას. მაშინ, როდესაც დაბალი ფენის გოგონებისათვის ნაკლებად ხელმისაწვდომი იყო.

ნატო ყრუაშვილი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

შვილისმკვლელი მამის ტრაგედია ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობაში „ხევისბერი გოჩა“ დასავლური კონტექსტით

ალ. ყაზბეგის სახელს უკავშირდება XIX საუკუნის ქართული რომანის დამკვიდრება და განვითარება. ის პირველი მწერალია, რომელიც ამ ჟანრის ნაწარმოებებს წერს, „ელგუჯა“, „მამის მკვლელი“, „ციცია“ და სხვა პირველი რომანებია ჩვენი მწერლობის ისტორიაში.

გარდა ამისა, ყაზბეგმა შექმნა დრამატული, ტრაგიკული მოთხრობები, რომელთა შორის გამორჩეულია „ხევისბერი გოჩა“, რომელშიც მეტად მნიშნელოვანი ცხოვრებისეული, ფილოსოფიური, ეთნოგრაფიული, ზნეობრივი, ეთიკური, პატრიოტული, მამაშვილური საკითხებია ასახული და, რაც ძალიან მტკივნეულია, შვილის მკვლელი მამის ტრაგედია. ეს პრობლემა მსოფლიო კლასიკაში რამდენიმე მწერალს აქვს მოთხრობილი სხვადასხვა ასპექტით, მაგრამ ყაზბეგი სრულიად განსხვავებულად, რეალისტური მეთოდით, ფსიქოლოგიური დამაჯერებლობითა და ღრმა ტრაგიკული განწყობით გადმოგვცემს მამის მიერ შვილის მოკვლის საშინელ სურათსა და მამის კოშმარებს ამ საზარელი მკვლელობის შემდეგ.

მამაშვილობა ადამიანური ურთიერთობის ფონზეა ასახული, აქ არ არის გენეტიკასა და ოჯახურ ერთობაზე საუბარი, წინა პლანზეა გვაროვნული ტენდენცია, გვარის, როგორც ეროვნული ნიშნის, ეროვნული ფენომენის სიმბოლო და ტრადიცია წინაპართა სახელის დიდების, მათი სულიერი და მატერიალური მონაპოვარისა და ღირსების დაცვა, მშობლიური მიწის, გარდასულთა ძვლების პატრონობა. აი ამ ნორმებითა და წესებით არის აღზრდილი ხევისბერი გოჩა. მისთვის რომელიმე მათგანის ნებისმიერი პრინციპის დარღვევა ყოვლად დაუშვებელია.

იგი ბრძენი, გონიერი, გამოცდილი, ქვეყნისა და ერის ერთგული პიროვნებაა. ის ხევის სულიერი, ადმინისტრაციული და სამხედრო ხელმძღვანელია, უიმისოდ ხევში არაფერი ხდება. ყველაფერზე პასუხისმგებელი ხევისბერია. ეს სტატუსი ფშავსა და ხევსურეთში, – ორივე არაგვის ხეობაში, ქსნის, ლიახვის და სხვა ხეობებში არსებობდა. ხევისბერს უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა თავის ხალხში. ცხადია, დიდი პატივი ჰქონდა მისი ოჯახის წევრებსაც. ეს

მოთხრობის ყველა ეპიზოდში ჩანს, სადაც კი გოჩა ან ონისე გამოჩნდება.

ვიდრე სამსჯავროს განვიხილავთ, მანამდე აუცილებელია ძიძიას და ონისეს სიყვარულის გაანალიზება. ამის გარეშე ძნელია იმსჯელო ონისეს ღალატზე ან დანაშაულზე. მისი მოქმედების ახსნა სიყვარულის გათვალისწინების გარეშე არაობიექტური და ცალმხრივი იქნება.

მოთხრობის სიუჟეტიც და ონისეს და ძიძიას სიყვარულიც გუგუას და ძიძიას ქორწილიდან იწყება. დრამატულია, რომ პატარძალი ხელისმომკიდეს ანუ მეჯვარეს შეუყვარდება და პირიქით – ძიძიას ონისე, ანუ პატარძალს მეჯვარე შეუყვარდება. როგორც არ უნდა ვაკრიტიკოთ ქორწილის ტრადიცია ძველ საქართველოში, რეალურ შედეგს ვერ მივიღებთ, ქორწილამდე მეფე საცოლეს ვერ ნახულობდა და ამის გამო ბევრი სიძე მოუტყუებიათ, მათ შორის ლუარსაბ თათქარიძე. პრობლემა ადათ-წესებში კი არ არის, არამედ სიყვარულშია, რომელიც როდის იფეთქებს ადამიანის გულში, არავინ იცის. როდის შეიქმნება სასიყვარულო განწყობა, შეხედავს ბიჭი გოგოს და, პირიქით, გოგო – ბიჭს სიყვარულის თვალით, ძნელი გასარკვევია.

ონისეს რაც დაემართა გუგუას ქორწილში, თავისი ახსნა აქვს. ქორწილი ქმნის ამაღელვებელ ვნებათა ღელვას, აფორიაქებს ყველა ახალგაზრდა მამაკაცისა და ქალის გულს, ამას განიცდის ონისე, როდესაც ის შედის ოთახში ძიძიას წამოსაყვანად. „მოხუცმა გადასცა ონისეს ქალის მთრთოლვარე და გახურებული ხელი. ონისემ რა წამს ამ ხელის მოკარება იგრძნო, შეჰკრთა, დაიბნა და თითონაც გააჟრჟოლა და მთვრალივით წაბარბაცდა“.

მისი გულიც, სხეულიც და სულიც აღსავსეა სატრფიალო ვნებათა ღელვით, ამიტომაც გაურბის გონება იმ ოთახისკენ, სადაც ახალგაზრდები ცეკვავენ. ცეკვაც უფორიაქებს ყმაწვილურ ბუნებას.

ყაზბეგი პირველი მწერალია, რომელმაც ქართული ცეკვა ასახა, თვითონ ცეკვის ჯადოქარი იყო სცენაზე. შემდეგ რობაქიძე აგრძელებს ქართული ცეკვის ასახვის ტრადიციას. ასეთი საზეიმო ემოციების გამო ონისეს გული გასაფრენად არის მზად. სწორედ ამ დროს შემოჰყავს ხაზუას ძიძია, რომლის დანახვაზეც ონისე მოჯადოებულივით რინდდება. ეს არის სიყვარული ერთი შეხედვით, ჭეშმარიტი სიყვარული, რომელიც არც გარემო სივრცეს, არც სოციალურ მდგომარეობას, არც შეზღუდვებს არ სცნობს. ონისეს სიყვარულმა ელვისებურად იფეთქა. ასევე დაემართა ძიძიას. ონისემ პირდაპირ შეჰხედა ქალს და ხმამაღლა წარმოთქვა: „– მაგისთვის ძმაზედ უფრო მეტი ვიქნები“. – ამ სიტყვებზედ ქალის ხელი კიდევ ერთხელ შეჰკრთა. კიდევ წყნარად გაჟრჟოლდა. ერთი შეჰხედა და მაშინვე თავი დაჰხარა. წყნარმა, მაგრამ ძლიერმა ოხვრამ ონისეს სიტყვა გაუწყვიტა და გული გაუფართხალდა“.

ეს სიყვარულის გამოვლენაა XVII საუკუნეში. ონისემ შესძლო თავის შეკავება, რომ არ დაცემულიყო. ხოლო ტარიელმა ნესტანის დანახვაზე გონება დაკარგა. ონისემ ეს შესძლო, მაგრამ მთელი გზა გარინდებულია, ვიდრე სიყვარულის მეორე ეტაპი დაიწყებოდა ანუ, ვიდრე ფიზიკურად შეეხებებოდნენ ერთმანეთს და ეს წუთიც დადგა. მარხილში საპატარძლო კაბაში გამოწყობილ, სიცივისგან გათოშილ ძიძიას მზრუნველობით მოახვევს ნაზად ონისე ხელს. ამ დროს „რაღაცა უხილავი ძალა ერთმანეთისაკენ იზიდავდა, წუთიც და სიტკბოებით დამთვრალი-დაბნედილი ტუჩები მათსავე გაუგებრად ერთმანეთს ჩაეწებნენ“. ეს იყო სიყვარულის ხორციელი აფეთქება, რაც უფრო აძლიერებდა სულიერ სწრაფვას. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ ისინი სიყვარულის გარემოცვაში მოექცნენ. მათ აღარ აქვთ ძალა ეს პროცესი შეაჩერონ, უარი უთხრან ერთმანეთს, დაივიწყონ ერთმანეთი.

სოფელში დაბრუნებისას გოჩამ რაღაცა იგრძნო, რაღაც იეჭვა, ის ბრძენი და გამოცდილი კაცი იყო, ამიტომაც სახლში გაუშვა შვილი, ხოლო შინ დაბრუნებული გოჩა ონისეს ეუბნება: „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ. კაცი ტანჯისთვის არის გაჩენილი“. რაც იმას მოწმობს, რომ გოჩას კარგად აქვს გააზრებული სიყვარულის არსი, ისიც იცის, რომ, უმეტეს შემთხვევაში სიყვარული არ მთავრდება შეუღლებით. შეყვარებულები სამუდამოდ ერთმანეთის დარდისა და ფიქრისთვის არიან შეწირულები. მაგრამ ამ მოთხრობაში ფარული დარდი მალე იცვლება სიყვარულის ძლიერი აფეთქებით. სიუჟეტშიც ისეთი სიტუაცია მწიფდება, რომ ისინი აუცილებლად შეხვდებიან ერთმანეთს. ომია, ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას ხევის წინაშე. ონისე და ძიძია კი ერთმანეთს არც ამ დროს ივიწყებენ. მათთვის სიყვარული ომზეც და სიცოცხლეზეც მაღლა დგას. შეუძლებელია მათი ოცნების ახდენა და გარდაუვალია ტრაგედია, დაღუპვა, მაგრამ ისინი ერთად არიან და ბრძოლის დაწყების ღამესაც ერთმანეთს ეფერებიან.

ნარონავაზე ონისეს და ძიძიას შეხვედრა იყო მათი სიყვარულის ტრიუმფი, სასიყვარულო ოცნებების მწვერვალი. შეიძლება ითქვას, რომ ეს ეპიზოდი სიუჟეტური კვანძის მოულოდნელი და სრული გახსნაა. აქ ონისე მეტად მნიშნელოვან და საინტერესო საუბარს ისმენს ბანაკში მიმავალი გუგუასა და ძიძიასაგან. მათმა დიალოგმა ონისეს გულში უფრო მეტად აღაგზნო ძიძიასადმი სიყვარული. შეუძლებელია კაცმა ქალისაგან ქმართან კამათის დროს ის სიტყვები მოისმინოს, რაც ონისემ გაიგონა და შეძლოს თავის ხელში აყვანა, არ მოსწყდეს მიწას და არ მიეცეს სიყვარულის აღმაფრენას.

„ – რაი გიყო თუ კი არ მიყვარხარ!.. – ეუბნება ძიძია გუგუას.

– რაი მიყო და ცოლობა უნდა გამიწიო.

– გითხარ, არ მიყვარხარ-მეთქი და გათავდა.

– იყუჩ ქალაუ... შენი თავი მაინც შეიბრალე.

– შესაბრალებელი რაი მაქვს! მომკლავ და გული დამშვიდდების... აი მომკალ ცხვებს რაისთვის ემართლები! ქალმა მიუშვირა მკერდი

– მაშ სიკვდილი გინდა?.. კარგი, მოგკლავ, მაგრამ მაშინ, როდესაცა ონისეს თავს მოგიტან... ამ სიტყვებით კაცი გადახტა და ონისეს ბინისკენ დაეშვა.

– გუგუა, გუგუა!.. ნუ დამღუპავ, რას ჩადი!...“

ნათლად ჩანს გუგუასა და ძიძიას ურთიერთობა. ძიძიას არ უყვარს გუგუა და არ უნევს მას ცოლობას და ამას პირდაპირ ეუბნება ფიქტიურ ქმარს. ეს არის მთიელი ქალის სიმამაცე, გულახდილობა. მას არც ქმრის განრისხების ეშინია და არც ადათ-წესების. ძიძიას სიტყვებით გუგუას ეჭვი რეალობად იქცა, ის დარწმუნდა, რომ მის ცოლს ონისე უყვარს და, როგორც კავკასიელებს სჩვევიათ, მოცილე უნდა მოიკლას, რომ დაიცხროს რისხვა, რომ მამაკაცური ღირსება შეინარჩუნოს და ცოლი ცოლად დარჩეს. წყენამ და გაბრაზებამ გონება დაუკარგვინა. იგი ინსტინქტით გაიქცა საგუშაგოსკენ, სადაც ონისე ეგულებოდა. მის მოქმედებაში ლოგიკა არ არის. ცოლის გამო განიზრახა ონისეს მოკვლა, ცოლი კი მარტო დატოვა ნაროვანაზე, მთაში, სადაც ყოველ ნაბიჯზე შეიძლებოდა მგლები დასხმოდნენ თავს.

თავისთავად შეიქმნა ისეთი სიტუაცია, რომ ონისე და ძიძია ღამე მარტო დარჩნენ. ისიც გასათვალისწინებელია, როომ გუგუას მხრიდან ონისეს მოკვლით დამუქრების შემდეგ მარტო დარჩენილი ძიძია თავის მოკვლას აპირებდა, ხევში გადავარდნა უნდოდა, რაც იმას მოწმობს, რომ მას ძალიან უყვარდა ონისე, მისი სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე აღარ უნდოდა (ეს დადასტურდა კიდეც ნაწარმოების ფინალში).

ნაროვანაზე ორი შეყვარებული ერთმანეთთან მარტონი დარჩნენ. ამას, ალბათ, ვერც წარმოიდგენდნენ და გასაგებია რამდენად დიდი ბედნიერება იყო მათთვის ეს.

ყაზბეგი, როგორც დიდი კლასიკოსი მწერალი, შეყვარებული წყვილის ალერსის დეტალებს არ აღწერს, მაგრამ ზოგადად ასახვის ფონზე კარგად ჩანს მათი თავდავიწყება, სულიერი და ხორციელი განცხრომა.

ეს იდილია თოფის გასროლის ხმამ დაურღვია. ონისე მიხვდა, რომ მისი ვაჟკაცობა ეჭვის ქვეშ დადგა. გონებაში გაურბინა სიტყვებმა „მაცდურად მომხიბლა და მაცდურად დამღუპა!“

ეს შეცდომა ონისემ შემდგომ ბრძოლაში სრულიად გამოასწორა, მან გმირობის ბრწყინვალე მაგალითი აჩვენა. ბევრი მტერი გამოასალმა სიცოცხლეს და სხვა მოხევეებსაც აღაგზნებდა საბრძოლველად. ასე რომ, ონისეს

წვლილი დიდი იყო მოხევეების მიერ ნუგზარ ერისთავის ჯარის დამარცხებაში. ამ გმირობით მან ამხანაგებისა და თემის მიმართ დაშვებული შეცდომა გამოისყიდა.

„ამ საერთო არეულობაში ონისე დამთვრალივით დადიოდა და ვისაც კი შეეყრებოდა, მზისთვის დიდხანს აღარ აცქერინებდა. ის ეძებდა გაცხარებულ ბრძოლას და სადაც იგი გაჩნდებოდა, სწრაფლ შუაგულში მოექცეოდა, თუმცა სიკვდილის მაძიებელი, მოჯადოებულივით ყველგან უვნებლად რჩებოდა“.

„მისი სიმამაცე, გულადობა და თავგანწირულება მაყურებელს აოცებდა და ქებას წარმოათქმევინებდა“ .

ნაწარმოების ძირითადი პრობლემა ომის შემდეგ სამსჯავროზე გამართული თემის უხუცესთა შეკრებაზე წყდება. ეს ეპიზოდი საჭიროა განხილულ იქნას მრავალმხრივი, ობიექტური და რეალისტული თვალთახედვით. მნიშნელოვანია მოხევეთა ტრადიციული სამართლისა და ადათ-წესების გათვალისწინება, მათ შორის, პირველ რიგში, სიკვდილით დასჯის საკითხი. რაც ერთგვარად ცივილიზებულად წყდებოდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მთიელისათვის სიკვდილზე არანაკლებ მძიმე სასჯელს – მოკვეთას.

მთის ტრადიციით თავიანთი მიწა-წყლის კაცის მოკვლა არ შეიძლებოდა. ეს წესი დომინირებდა ხევშიც, მთიულეთშიც, ფშავშიც და ხევსურეთშიც. ასევე გასათვალისწინებელია მეფეთა სამართალი, რომელთა მიხედვით (ბაგრატ III სიგელი, „ძეგლის დება“, „დასტურ ლამა“). ადამიანის სიკვდილით დასჯა მხოლოდ ერისთავის მოკვლის შემთხვევაში ხდებოდა, მაგრამ ეს ფაქტი წყაროებში არ ფიქსირდება.

სამსჯავროზე ჩანს, რომ თემს და ხევისბერს არა აქვთ გუგუას სიკვდილით დასჯის მიზანი. „– ბალღო, სიკვდილი ძნელი არაა... – ცოტა ხნის შემდეგ დაიწყო გოჩამ, აღგზნებული სიყვარული დაეტყო“, მაგრამ გულს არა სჯერა, რომ ხევის მიწა-წყლის კაცი, ხევის ძუძუთი გაზრდილი, მოძმეთ უღალატებდა, ამხანაგებს გაჰყიდდა, მიწას შეარყევდა და ცას ჩამოანგრევდა“. მისი უტყუარი გონება იმ მომენტში მხოლოდ მთიელთა წესისამებრ მსჯელობს და არც სცდება. მოღალატეებს, ხევში ჩამოსახლებულ ოსებს, რომლებიც მიიღეს მოხევეებმა, მისცეს ცხოვრების საშუალება. მათ კი ნუგზარ ერისთავის დაქირავებულ ოსებს გზა უჩვენეს და თავადვე წამოუძღვნენ და ზურგიდან, მტრისთვის უცნობი გზით, შემოიყვანეს და თავს დაესხნენ მოხევეებს. სისხლი დაიღვარა, დაიღუპა მოხევეთა ერთი ნაწილი. ღალატი ესაა „ეს ორი ოსი მტრის მხარეს გადავიდა და მათსავე მეზობლებსა და მოყვასთ დაუპირისპირდნენ. ღალატი ისაა, მტერს რომ წამოუძღვები, გასცემ შენთვის და ქვეყნისთვის ერთგულ ხალხს და მათ ხოცვაში მიიღებ მონაწილეობას.

უნდა აღინიშნოს თემის სიმკაცრე მოღალატე ოსების მიმართ. მათ ჩაქოლვა „ჩაქვავება“ გამოუტანეს განაჩენად, მაგრამ გოჩას მოკვლის მცდელობისათვის ისინი დახოცეს.

მწერალი სამსჯავროზე მიმდინარე მოვლენებს დეტალურად ასახავს და რეალისტურად მოგვითხრობს ყოველ ქმედებას, პერსონაჟთა ყოველ ნააზრევს. განსაკუთრებით გოჩას ხასიათს, სხვადასხვა სიტუაციაში განწყობილების ცვალებადობას. აღწერს მისი სახის გამომეტყველებას, ფიზიკურ და სულიერ მდგომარეობას. როდესაც მას გუგუას ღალატის შესახებ მოახსენებენ, „პირველად დაეტყო გაუბედაობა, მისი თვალები თითქოს ხვეწნასა და სიყვარულს ერთად გამოსთქვამდნენ“.

ასეთი განწყობა წარმოაჩენს გოჩას ჰუმანურ სულს, ხევის ყოველი წევრისადმი სიყვარულს, ზრუნვას მათზე, მაგრამ სამსჯავროზე იგი მკაცრი და შეუვალია. მკაცრად ასრულებს თემის გადაწყვეტილებას, თემის მიერ გამოტანილ განაჩენს. მას არ უხარია ადამიანის მოკვლა, იგი გუგუას, რომელიც ითხოვს მოკლან, პასუხობს: „– ჩემი გულიც არ არის მოსვენებული გუგუავ, მაგრამ თემი და მისი საქმე შენზედაც დიდია და ჩემზედაც“.

გუგუამ ვერ იმართლა თავი, ვერ დაარწმუნა თემი, რომ მოღალატე არ არის. იგი მოღალატედ სცნეს თემის უხუცესებმა და გამოუტანეს განაჩენი – „მოკვეთა,“ ანუ სიკვდილით არ დასაჯეს. მაგრამ ონისე თემმა მოღალატედ არ მიიჩნია და გოჩამ თემის გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ იმოქმედა და მოკლა შვილი საკუთარი ხელით.

რა შესცოდა გოჩამ? რა იყო სამართლიანი მის ქმედებაში და რა უსამართლო?

პირველი ბრალდება, რომელიც გოჩამ წაუყენა ონისეს, მამაშვილური შინაარსის იყო და არა საერო, სათემო: „– მაშ ეგრე გაიგონე ჩემი დარიგება?“ და მაშინვე მოაყოლა წყევლა: „წყეულიმც იყავ, ყველასაგან მოძულებულო, დედმამის საფლავიდან ამომგდებო! რა სასჯელი არის, რომ მე შენ გადაგიწყვიტო!“... ის ერთპიროვნულად წყვეტს საკითხს და ბრალს სდებს „მოძმეთ სისხლის დაღვრაში“. „– მოძმეთ სისხლი ცაში ღმერთს შესჩუხჩუხებს და სამართალს ითხოვს“. მხოლოდ მერე მიმართავს თემს „– გადაწყვიტე თემო!“ თემმა გადაწყვიტა და სამართალიც გაირკვა, რომ ონისეს „ხევი არ გაუყიდნია... მხოლოდ ყმაწვილკაცობას გაუტაცია და თავდავიწყებაში ჩაუგდია“.

თემის უხუცესთა ამ გადაწყვეტილების შემდეგ გოჩა ონისეს ნამუსსა და ზნეობაში სდებს ბრალს. ეს უფრო მეტ დანაშაულად მიაჩნია, „კაცს ულვაში ნამუსისთვის გამოუა... ონისე ეხლავე მკვდარია... მისი სასჯელი ცეცხლში დაწვაა“. ვიდრე ხანჯალს ჩასცემდა ონისეს, კვლავ ღალატი ახსენა... მოძმეთ მოღალატე სიცოცხლის ღირსი არ არის!“

ხევისბერი თავს ვეღარ აკონტროლებდა. მტკიცე ნებისყოფის, ძლიერი, სამართლიანი გოჩა ამ ეპიზოდში სტრესისა და ეფექტის კარნახით იქცევა. დაკარგული აქვს წონასწორობა და ონისეს ქმედებისთვის საყვედურისა და გაკიცხვის ნაცვლად სიკვდილის განაჩენი გამოუტანა. მისი მთავარი პრობლემა იყო ის, რომ ონისემ მამის დარიგება ვერ შეასრულა, სიყვარულმა წალეკა მისი სულიერი და ხორციელი სამყარო, მაგრამ ის დარღვევა, რომელიც ომის დროს დანიშნულ ადგილზე არყოფნით გამოიხატება, მან გამოასწორა ბრძოლაში, თუმცა არავის უხსენებია სამსჯავროზე მისი გმირობა და

„დავით აღმაშენებლის სიგელი სვეტიცხოვლისადმი“

დოკუმენტის ენობრივი მახასიათებლები

აღნიშნული სიგელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო დოკუმენტია შუა საუკუნეების სხვა წყაროებს შორის, რომელიც სახელოვან მეფეს შეუდგენია და უბოძებია სვეტიცხოვლისადმი. საინტერესოა კიდევ უფრო იმის მიხედვით, რომ სიგელი ასახავს ზემო ქართლის ერთ-ერთი ძველი დასახლების – სოფელ დისევის ისტორიას, ტოპონიმებს, ანთროპონიმებს, იმდროინდელ ენობრივ მოვლენებს.

აღნიშნული სიგელი, რომელიც მცხეთის სიონის არქივში ინახებოდა, მისი ასლი XVIII საუკუნეში დისეველმა დეკანოზმა **გაბრიელ ოქროპირიძემ** გადაიღო და შემდეგ დისევში ალექსანდრე ოქროპირიძის ოჯახში ინახებოდა.

სიგელში მეფე დავითი აღნიშნავს, რომ ***„სიგელ შლად არავინ ხელყოს, ხოლო, დამტკიცებული ამისანი ღმერთმან აკურთხოს“-***ო. შემდგომ ერეკლე მეორის ძეს – **კათალიკოს ანტონს,** სიონის დეკანოზ იოვანესთვის გადაუწერინებია სიგელი და, დავითის ანდერძისამებრ, დაუმტკიცებია დისეველი ოქროპირიძეებისადმი.

გან განთავისუფლებისას და დაკრძალულია თავის მიერვე აშენებულ კულბითის ღვთისმშობლის გუმბათოვან ეკლესიაში.

ასეთი ისტორიული დოკუმენტის ანალიზის დროს უნდა გავითვალისწინოთ ეპოქის პოლიტიკური ვითარება, ტექსტის მთლიანობა.

ენაზე დაკვირვება საკმაოდ რთული პროცესია, უნდა გამოვიყენოთ მთელი რიგი მონაცემები, როგორც ძველი, იმდროინდელი, ისე ახალი. მიგვაჩნია, რომ ზემოხსენებული სიგელი არის ეპოქის ძეგლი, სადაც აღბეჭდილია ხალხური მეტყველებისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი ენობრივი მახასიათებლები, როგორც ძველი, ისე თანამედროვე ქართულისა.

ენის დემოკრატიზაცია დაიწყო მეათე საუკუნიდან, რომელმაც სრულყოფილებას XII საუკუნეში მიაღწია, რასაც კარგად აღნიშნავს აკადემიკოსი **აკ. შანიძე.**

ძველ ქართულში იყო ბგერა ⲥ (ხარი), რომელიც ზემოხსენებულ დოკუმენტშია წარმოდგენილი:

ⲥელმწიფემან დავით,
ⲥელშეუშლელად მოგვირთმევია,
ამას შლად ⲥელყოს რისხამს ღმერთი.

ამის პარალელურად იხმარება **ხ** ბგერა, რომელიც მეტი სიხშირით არის წარმოდგენილი.

ტექსტში გვხვდება უმარცვლო **უ**: *მოგუიხსენებია* და *შემოგუიწირამს.*

სიგელში რელიეფურადაა წარმოდგენილი ძველი ქართულის მრავლობითობის წარმოება ნართანიანი ფორმებით, მცირედი კი- ებიანებით:

კაცნი შემოგვიწირამს კეთილგვაროვანი ოქროპირიძენი.
შემოგვიწირამს მოსახლენი მალიაძენი.
რისხამს ღმერთი და ყოველნი მისნი წმინდანი.
დამამტკიცებელნი ამისანი.
მთითა და ბარითა.
წურბელთ წყარომდი.
მამული ნასერლები და სხვა.

ნაცვალსახელები, ძველი ქართულის მსგავსად, გავრცობილი სახით არის წარმოდგენილი:

მას შინა აღმართებულსა.
მცირე ესე შესაწირავი.
თავისი საწისქვილითი.
ასე მოგვიხსენებია და შემოგვიწირამს.

მოთხრობითი ბრუნვა თანხმოვანფუძიან და ხმოვანფუძიან სახელებთან წარმოდგენილია არქაული *მან* დაბოლოებით:

ხელმწიფე*მან* დავით და ძემან დიმიტრი*მან*,

დამამტკიცებელი ამისანი ღმერთმან აკურთხოს.

სავრცობი **ა** ძირითადად გვხვდება მიცემით ბრუნვაში:

ცათასწორსა სასოსა ჩვენსა სვეტიცხოველსა მას შინა აღმართებულსა, კვართსა საუფლოსა.

სვეტიცხოველსა და კვართსა კათალიკოსსა დოსითეოსსა.

ნაცვლად გვაგე დღესა მას განკითხვისასა.

აკაკი შანიძე შენიშნავს, რომ **-ა** ელემენტი წარმოშობით ნაშთია განსაზღვრებით ნაწილაკისა სახელთან შეზრდილი.

არნ. ჩიქობავა -ა ხმოვანდართულ ბრუნვებს გამოყოფს და ასხვავებს ორ მორფოლოგიურ ტიპს.

ზმნისწინები ძირითადად ახალქართულისებურია:

ეთითაა ნაცარყანა, რომელსაც დღეს „ნაცარაულები“ ჰქვია. წითელი კოშკი მდებარეობს დისევის სამხრეთ- აღმოსავლეთით, რომელიც ყოველთვის დისეველთა მამული იყო და დღემდეა შემორჩენილი თავდასაცავი ნაგებობის ნაშთი. დღეს იქ დისეველთა რამდენიმე ოჯახია დასახლებული და ამ პატარა სოფელს კოშკი ჰქვია.

სოფელ კოშკს მარჯვნივ ჩამოუდის მდინარე ჭარებულა, ხოლო მთელი მარცხენა ნაპირი, სულ 20 ჰექტარი, სახელდებულია „მამული აბილახტაურის“ სახელით. ეს გვარი საისტორიო დოკუმენტებშია მოხსენებული, როგორც აბულახტარაისძე და ასევე აბულახტარი. აღნიშნული გვარი წარჩინებული იყო. მათ ასევე ვრცელი მამულები ჰქონდათ სოფელ ქვეშში, რომელიც სოფელ დისევის სამხრეთითაა. 1433 წელს **თაყა ზედგენიძემ** სვეტიცხოველს შესწირა ნასოფლარი ქვეში.

სიგელში ყველა გეოგრაფიულ სახელს ფუძეზე ერთვის ***მდი-ნ*** თანდებული, რომელიც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დიალექტური ფორმაა: საქარე გზამდი-ნ, წურბელ

მოგახსენებთ, მოგვირთმევია, შემოგვიწირავს, შეიწირე, შემოგწირეთ. მხოლოდ ერთხელ არის ძველი ფორმა გამოყენებული: *მას შინა აღმართულსა.*

სიგელში დასახელებულია მთელი რიგი გეოგრაფიული სახელები, რომლებიც სოფელ დისევის შემოგარენში დღესაც დასტურდება. საუკუნეების განმავლობაში ათას ქარტეხილებს გადარჩენილი ტოპონიმები კვლავ მოქმედებაშია.

სოფელი დისევი მდებარეობს ისტორიულ პროვინცია გვერდისძირზე, რომელიც გადაჭიმულია სოფლების ჯარიაშენიდან ვანათამდე და მთა ორბოძალის დასავლეთის კალთას წარმოადგენს. სოფელი შუა ადგილზეა და მოხსერხებული მდგომარეობა უკავია.

სიგელში დასახელებული საქარე გზა, წურბელა – წურბელთ წყარო, სათიბის წვერი მდებარეობენ სოფლის აღმოსავლეთ მეჯუდის ხეობის წყალგამყოფზე, სოფლის სამხრეთ აღმოსავლეთით სიგელის მიხედვით მდებარეობს ღრმა გზა, რომელსაც დღეს *„ღრმა ხევი“* ეწოდება. ამავე მხარესაა ნასოფლარი ბერიჯვარი, საიკორთო გზა და გახვრეტილი ქვა. ჩრდილო-აღმოსავლეთითაა სიგელში მოხსენიებული სასადილო წყალი, რომელსაც დღეს „სასადილო წყარო“ ეწოდება. ტყემლის მხარე და კვირაცხოველიც აღმოსავლეთის მხარესაა, ჩრდილო-

წყარომდი-ნ, სათიბის წვერამდი-ნ, წითელ კოშკამდი-ნ და სხვა.

ტოპონიმები ფორმისა და შინაარსის მიხედვით განსხვავებულია და კარგად გამოხატავენ ქართული ენის ბუნებას. სტრუქტურის მიხედვით დასტურდება:

მარტივფუძიანი: კოშკი, ტბა.

აფიქსური წარმოებისა: ჩხოკური, აბილახტაური.

ა სუფიქსით ნაწარმოები სახელები: ნაცარყანა, წურბელა.

- ნარ წინავითარების სუფიქსით ნაწარმოები: ნასერლები, ნაცარა.

კომპოზიტური აგებულებისა: ღრმაგზა, ზეითგზა, ქვეითგზა.

მართულმსაზღვრელიანი: ბერიჯვარი, სათიბის წვერი, კვირაცხოვლის გზა და სხვა.

„დავით აღმაშენებლის სიგელი სვეტიცხოვლისადმი“ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომლის სრულყოფილი შესწავლა სხვა ძეგლებთან მიმართებაში აუცილებელი სამომავლო საქმეა. იგი მრავალ მასალას გამოავლენს ისტორიისა და ენის შესწავლის მიზნით.

ნიკოლოზ ოთინაშვილი,
გორის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

←

წვლილი მოხევეთა გამარჯვებაში.

ეს ეპიზოდი, ისე როგორც მთელი მოთხრობა, რეალისტური და მხატვრულად დამაჯერებელი ნარატივით არის გადმოცემული. ამ გზით ქმნის იგი ერთ მთლიან სურათს, ასე იპყრობს მწერალი მკითხველის გონებასა და გულს.

შვილის მკვლელი მამის სახე გხვდება აგრეთვე ფრანგი მწერლის პროსპერ მერიმეს პროზაში და უკრაინელი მწერლის ნიკოლოზ გოგოლის რომანში „ტარას ბულბა“.

ამ პერსონაჟებს – ტარასს, მატეოს და გოჩას ერთმანეთთან არავითარი საერთო არა აქვთ, მაგრამ მათ აერთიანებთ თავიანთი დანაშაულებრივი ქმედება – შვილის მკვლელობა. როგორც არ უნდა შევარბილოთ და გავანეიტრალოთ, მამის მიერ შვილის მოკვლა დანაშაულია და მკაცრ სასჯელს იმსახურებს. ასეთი სისხლიანი ქმედება რამდენიმე კატეგორიის დანაშაულს აერთიანებს, გენეტიკურ თავის სისხლს და ხორცს – შვილს კლავს: ოჯახური – თავის ოჯახის წევრს კლავს, იურიდიული – ადამიანის მოკვლა სისხლის სამართლის დანაშაულია: რელიგიური – არღვევს უფლის მცნებას: „არა კაც კლა“.

ეს სამი მამა კლავს შვილს განსხვავებულ სიტუაციაში და განსხვავებულ ასპექტში. ტარას ბულბა კლავს ანდრეს, რომელსაც პოლონელი შლიახტის ქალიშვილი შეუყვარდა, შეირთო ცოლად და მათ არმიაში მსახურობს. პოლონეთსა და უკრაინას კი ომი აქვთ ერთმანეთთან. ტარასი საბრძოლო ვითარებაში კი არ კლავს ანდრეს, შემთხვევით შეხვდენენ ერთმანეთს და ტარასმა სიტყვაც არ ათქმევინა შვილს, რომელიც რაღაცის ახსნას აპირებდა. „მე შეგქმენი და მე მოგკლავ“! უთხრა ტარასმა შვილს და ესროლა. მოკლა ახალგაზრდა, კარგი ქცევის და მოსიყვარულე კაცი,. მაგრამ ეს ფაქტი ბევრად განსხვავდება გოჩასა და მატეოს მიერ შვილის მკვლელობისაგან.

მატეო ფალკონე კლავს პატარა ბიჭს, 7-8 წლის ფორტუნატოს. კლავს კრიმინალი კაცის, ქურდი და ყაჩაღი ჯიანეტოს ვოლტიჟერებთან გაცემის გამო. ამ ნოველაში მოქმედება კუნძულ კორსიკაზე მიმდინარეობს, სადაც ძველი კანონდამრღვევი ადამიანები სახლდებოდნენ, მაგრამ ტევრში ქურდები, მკვლელები და კრიმინალური ჯგუფის წევრები იმალებოდნენ, რომლებიც თავს მშვიდად გრძნობდნენ. მატეო აღარ იყო კრიმინალთა შორის, მას ჰქონდა მიწა, სახლი, ჰყავდა ფარა, ნახირი და შეძლებულად ცხოვრობდა.

მატეოც კრიმინალი იყო. იგი დიდი ხანია მშვიდობიან ცხოვრებას ეწევა, მაგრამ მასში შემორჩენილია ქურდული მენტალიტეტი. ამიტომაც დამნაშავის პოლიციასთან „ჩაშვების“ გამო კლავს შვილს, რომლისთვისაც საქმე ქურდულად არ უნდა გაერჩია და ასაკის გამო მაინც არ უნდა მოეკლა. მოკლა ისე, როგორც ცივსისხლიანი მაფიოზი კლავდა ადამიანებს. მოკლა იმიტომ, რომ მკვლელმა ჯიანეტომ, რომელიც მისი ეზოდან მიჰყავდა პოლიციას, შეარცხვინა მატეო და უსაყვედურა, რომ მისმა შვილმა გასცა იგი. ანუ მატეო თავისი ავტორიტეტის შენარჩუნებისთვის წირავს შვილს. ასეთივე ნიუანსი გოჩას ქმედებაშიც ვლინდება, ონისემ რატომ არ შეასრულა მამის დარიგება, რატომ მიაყენა ჩრდილი მის ავტორიტეტს. ამ პრეტენზიებით იწყებს იგი ონისეს მკვლელობის სამზადისს. ორივე პერსონაჟი – მატეოცა და გოჩაც, შეიძლება ითქვას, შვილებს ხოცავენ პირადი ღირსების შენარჩუნებისათვის. რა თქმა უნდა, ეს უსამართლო და ძალადობრივი ქმედებაა. საკუთარი ავტორიტეტისთვის საკუთარი შვილის მოკლა, რომელსაც მამისთვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია, მის წინააღმდეგ სიტყვა არ უთქვამს, მახვილი არ აღუმართავს, შესაბამისად ასეთი მამა თავის ავტორიტეტს კი არ ამაღლებს, პირიქით, ამცირებს და ანადგურებს.

სხვაობა გოჩას, მატეოსა და ბულბას შორის სოციალური ხასიათისაა, მატეო ყოფილი კრიმინალი, გოჩა ხევისბერი – ხევის სინდისისა და სიმართლის განსახიერება, იდეალური ხელისუფალი, ტარას ბულბა კაზაკია, კაზაკებისთვის კი კაცის მოკვლა ჩვეულებრივი, ნორმალური საქციელია. შვილის მოკვლის შემდეგ ამიტომაც რჩებიან გულგრილნი მატეო და ბულბა. მატეომ დააჩოქა ბავშვი, ალოცვინა, ესროლა თოფი, დაფლა მიწაში და დაბრუნდა სახლში. ცოლს უთხრა: „იქვე დავმარხე და დაავალა მისი გათხოვილი გოგო გადმოსულიყო მასთან საცხოვრებლად“... სულ ეს იყო ფორცენატოს მკვლელობა, ანუ ყოფილი კრიმინალი მკვლელი და ყაჩაღი იოლად კლავს საკუთარ შვილს. პატარა ფორცენატოს, რომელმაც ნებით თუ უნებლიედ კანონი დაიცვა და პოლიციას დაეხმარა ყაჩაღი დაეჭირათ. მატეოს შემდგომი ცხოვრება ნოველაში აღარ გრძელდება და არ ვიცით რა ბედი ეწია. ბულბას კი შვილის მოკვლა არ ეპატია და რამდენიმე წუთის შემდეგ ის დაიღუპა მტრის ტყვეით.

ამ ორ დიდ მწერალს – პროსპერ მერიმესა და ნიკოლოზ გოგოლს თავისი მხატვრული დამაჯერებლობით, ფსიქოლოგიზმითა და სინამდვილის რეალისტური ხედვით, ბევრად აღემატება ალ. ყაზბეგი. იგი გოჩას განცდებს შვილის მოკვლის შემდეგ მძაფრი ტრაგიზმით მოგვითხრობს. ეფექტის ზემოქმედებიდან გამოსულმა გოჩამ, როცა გაიაზრა, რა ჩაიდინა, „მიიხედ-მოიხედა შეშინებულის თვალებით და შეკრთა, ბოლოს დაიწყებინა ცახცახი და გასისხლიანებული ხანჯალი, რომელიც ხელში ეჭირა, შორს გადასტყორცნა... რამდენიმე ხანს ჩუმად იდგა. დაესხა თავბრუ და ჩაიკეცა, ის დაეკონა შვილს და რამდენჯერმე წყნარის ხმით წარმოთქვა: „– შვილო, შვილო! და ზედ გაეკრო“.

კარგა ხანს დასტიროდა ონისეს ცივ სხეულს. ბოლოს წამოიხედა, გარეგნად დაიწყო აქეთ-იქით ყურება და ერთბაშად შეშინეული წამოხტა.

„– შორს, შორს!... – დაიძახა მან და ჰაერში ხელები გაიშვირა. – სისხლი, ხანჯალი... შვილი, შვილი! რა იქნა ჩემი შვილი!.. – ძალზედ შეჰკივლა და ვეფხვივით ღრიალი დაიწყო...“

ასე აღწერს ალ. ყაზბეგი შვილისმკვლელი მამის ტრაგედიას. ვერც ნებისყოფის სიმტკიცემ, ვერც პრინციპულობამ, ვერც სულის სიდიადემ ვერ გაუძლო საკუთარი შვილის საკუთარი ხელით მოკვლას. გოჩა ბრძენი და გონიერი, ძლიერი, მტკიცე პიროვნება, ჭკუიდან შეიშალა და სამტვეროს ტყეში მარტოობაში დაასრულა გაწამებული სიცოცხლე.

ეს არის ქართველი მწერლის მიერ ქართული ხასიათების, ქართული მამაშვილობის ჭეშმარიტად რეალისტური ასახვა, რაც ჩვენს ერს თავისი სულიერი, ეთნოგრაფიული და ტრადიციული სითბოთი და განცდებით გამოარჩევს სხვა ერებისაგან.

კადრები ფილმიდან

ვახტანგ ინაური,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

რეზო ადამია - 85

85 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი შემოქმედი და საზოგადო მოღვაწე რეზო (ემელიანე) მიხეილის ძე ადამია. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო რეზო!

ჩვენო ძვირფასო მეგობარო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, ქართველი მწერლები სიყვარულით მოგესალმებიან ძმასა და მეგობარს, მრავალწახნაგოვანი ნიჭიერებით გამორჩეულ შემოქმედს და გილოცავენ დაბადების 85 წლისთავს.

თქვენ, გამორჩეული, თავისთავადი სტილის მქონე ფერმწერმა მოახერხეთ დამკვიდრება თანამედროვე წამყვან ქართველ მხატვართა შორის, მოახერხეთ საკუთარი ნიშის პოვნა ქართულ მხატვრობაში და ეს ყოველივე შესძელითო მრავალწლიანი მუხლჩაუხრელი შრომის, მართლაც რომ ტიტანური გარჯისა და რუდუნების შედეგად. გვახარებს ის გარემოებაც, რომ დიდებული ხატმწერი ხართ და ამ ურთულეს და მეტად საპასუხისმგებლო დარგში ფერწერისა, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეთ. თქვენს მიერ შექმნილი ხატები დასვენებულია საქართველოსა და უცხოეთის არაერთ ტაძარსა თუ ეკლესიაში.

თქვენი ფერწერული ტილოები გამოფენილია როგორც სამშობლოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ესპანეთში, საფრანგეთსა და იტალიაში, დიდ ბრიტანეთსა და ნიდერლანდებში, ჩეხეთსა და ლატვიაში, პოლონეთსა და რუსეთში... რაც ყველაზე საგულისხმოდ გვესახება, ისაა, რომ თქვენმა მხატვრობამ აღიარება ჰპოვა პარიზში, მხატვართა მექაში, სადაც შინაურ შემოქმედად მიაჩნიხართ და სადაც სისტემატურად გიწვევენ შემოქმედებითი მივლინებით.

ჩვენ, თქვენს მეგობრებს, მტკიცედ გვწამს, რომ თქვენი მშვენიერი მხატვრობა ქართულ პოეზიასთანაა წილნაყარი და მისი თვალუწვდენელი ლაჟვარდებიდან იღებს სათავეს... სწორედ ამ გარემოებამ აგაღებინათ ხელში ყალამთან ერთად კალამიც და მწერლობაშიც გათქმევინათ წონადი სიტყვა.

უკვე ცხრა წიგნის ავტორი ხართ, რომლებშიც ორგანულად ერწყმის ერთმანეთს ესეისტიკა, პროზაული თუ მეცნიერული წიაღსვლები („ერი, აკაკი და სამყარო“, „ვაჟა-ფშაველა და დრო“, „სისხლი და ცრემლი“, „უკვდავებაა სიკვდილში“, „შედევრები და მარადიულობა“, „დაუოკებელი სული ბობოქრობაა, მერანი“, „კონსტანტინე“, „წმინდა ნინო“, „მზე“). ამ წიგნებით, რომლებიც ქართული მწერლობის კორიფეებს ეძღვნება, ღრმად ჩაგვახედეთ მათი სულის უღრანებში თუნდაც ვაჟასადმი მიძღვნილი წიგნი რად ღირს, რომელშიც ახლებურად დაგვანახეთ ცალთვალა გენიოსის ფართო თვალსაწიერი, რომელსაც განახევრებული მხედველობა ხელს არ უშლიდა ადამიანის არსში სრულად გარკვევაში. როგორ მოეფერეთ მარტოობისთვის, მარტოსულობისთვის განწირულ ტერენტი გრანელის სულს, რომელიც კოსმიურ პოეზიას ჰქმნიდა და ანგელოზის დაჭრილი ფრთებით ესალბუნებოდა მშობელი ქვეყნის იარებს. შეისწავლეთ მისი ნახატები და ყველასთვის საცნაური გახადეთ, რომ ტერენტი გრანელი ვასილ კანდინსკის, ფერნარდ ლეჟეს, ხუან მიროს, პაბლო პიკასოს, მარკ შაგალის დარი მხატვარი ყოფილა...

ბოლო წლებში შექმნილი რომანები „წმინდა ნინო“ და „მზე“ მწერლური ძალმოსილების მკაფიო ნიმუშებია.

საინტერესო წერილები მიუძღვენით მიქელანჯელოსა და ნიკო ფიროსმანაშვილს, ზაქარია ფალიაშვილსა და ლადო გუდიაშვილს, ნიკოლოზ ბარათაშვილსა და გალაკტიონ ტაბიძეს...

თქვენი მრავალმხრივი, უაღრესად საინტერესო მოღვაწეობა სათანადოდ დაფასდა. მონიჭებული გაქვთ დავით აღმაშენებლის (2), ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, გურამ რჩეულიშვილის და ტერენტი გრანელის სახელობის პრემიები.

ბატონო რეზო!

გვიხარია, რომ ძველებური შემართებით ირჯებით. ბოლო წლებში განსაკუთრებით დიდი გალაკტიონ ტაბიძე იქცა თქვენი შთაგონების მუზად, რომელსაც ოთხი პერსონალური გამოფენა მიუძღვენით...

კიდევ ერთხელ ღრმა პატივისცემით გილოცავთ საიუბილეო თარიღს თხემით ტერფამდე დახვეწილ ინტელექტუალს, კოლეგას და პიროვნებას, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით წინსვლას.

საქართველოს მწერალთა კავშირი

გულითადი მილოცვა!

ბატონო რეზო, ჩვენო ერთგულო მეგობარო და მართალო კაცო, ჩინებულო მხატვარო და მწერალო, ძნელია თქვენისთანა დამსახურებულ და გამორჩეულ ადამიანზე თქვენი შესაფერისი სიტყვებით რომ მოგილოცოთ ღირსშესანიშნავი საიუბილეო თარიღი, რამეთუ სათქმელი ნამდვილად ბევრი გვაქვს, რაზეც ის დიდი აღიარებები მეტყველებენ, თქვენი შემოქმედების ორივე სფეროში, რომლებიც იმდაგვარად ერწყმიან ერთმანეთს, რომ ორივეს მიღმა მაინც თქვენი დიდი ადამიანობა, თქვენი კაცურ-კაცობა და, რაც მთავარია, სამშობლოს ერთგული და მუდამ საიმედო ადამიანის სახე ჩანს, იმ ადამიანისა, რომელმაც 85 წლამდე ისე მოიყარა თავი, მუდამ რომ მზადაა თავისი ცხოვრების თითოეული წუთი ქვეყნის სამსახურს შეალიოს, მისი ტკივილებით იცხოვროს და სიცოცხლეც არ დაიშუროს.

წლების სიმძიმის მიუხედავად, თქვენ კვლავაც შემოქმედებით ჭიდილში ბრძანდებით, ჩვენო რეზო ბატონო და არც ყალამს უშვებთ ხელიდან და არც კალამს, რადგან დასაწერიც და ტილოზე გადასატანიც ბევრი დაგიგროდათ.

ჩვენ კი, ჩვენო უფროსო და ერთგულო მეგობარო, ჩვენი გაზეთის თითოეული ნომრის ჭეშმარიტო შემფასებელო და მისი წარმატებების თანაზიარო, ოც წელზე მეტია რომ უანგაროდ თანამშრომლობთ ჩვენთან და თქვენი ლამაზი შემოქმედებით სულის პურს უშურველად აწვდით ათასობით მკითხველს, ეს გვაამაყებს და მეტ ძალას გვმატებს.

მიიღეთ ჩვენი გულითადი მილოცვა და გვჯერა, კიდევ დიდხანს მოგვიწევს თანამშრომლობა, რისთვისაც უპირველესად, ჯანმრთელობასა და მხნეობას გისურვებთ.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია

რეპლიკა

მურმან თავდიშვილი

ხელთ მიპყრია მიხეილ ჭაბაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“ და ვცდილობ, ქართულად ვთარგმნო გურამ ბენაშვილის სტატია „ლიტერატურული ვიტრაჟები“ („ცისკარი“, N8, 2012).

სიტყვარში მშვენივრად არის გადმოენებული შემდეგი სიტყვები: ვიტრაჟი, კონსერვატორი, კონსერვატიზმი, ადეპტი, საკრალური, გალანტურობა, რედუცირებული, ანალიტიკური, რეფლექსიები, სეგმენტი, კონტრაპუნქტი, პათეტიკური ორატორია, ესთეტიკური აურა, ენერგეტიკა, მაგიური კომპოზიცია, მეტაფიზიკური კონცეპტით იმპულსირებული, ელეგანტური, გენეზისი, პოსტკლასიცისტური, რიტორიკა, მონუმენტური, პლურალისტური იდეოლოგია, აქტიურობა, ევროპული ონტოლოგიური მსოფლგანცდით მოდელირებული და სხვა (სტატიის პირველი გვერდის ნახევარი, 90), მაგრამ, თუ საიდან ამოიღო და დაისწავლა „პიეტეტი“ და „ნოვაცია“, ვეღარ გავარკვიე. ეტყობა, რომელიღაც სხვა სიტყვარი სდებია წინ და „იქიდამ“ ამოუწერია!

რა თქმა უნდა, წერილი გაძეძგილია ამგვარი ანტივიტრაჟით, ოღონდ ჯერ მთავარი სატკივარი გავსინჯოთ.

ულოგიკობით პირდაპირ გამაოგნებელია პირველივე წინადადება:

„მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით გრიგოლ ორბელიანი განსწავლული კონსერვატორია“.

სწორედ ამგვარზე თუ უთქვამთ: სად ერეკლე და სად ჩვენი კონსერვატორიაო!

ადამიანი, შეიძლება, განსწავლული ან განუსწავლელი კონსერვატორი იყოს, ოღონდ ყოველივე ამას მსოფლმხედველობასთან რა კავშირი აქვს?!

მსოფლმხედველობა – ეს არის შეხედულებათა, წარმოდგენათა სისტემა სამყაროსა და მის კანონზომიერებებზე, ბუნებასა და საზოგადოებრივ მოვლენებზე; კაცი, შეიძლება, განსწავლული იყოს და მარქსისტობდეს, ხოლო მეორე განუსწავლელი იყოს და ისიც მარქსისტობდეს; ვხედავთ: მარქსისტობა გახლავთ მსოფლმხედველობა, ხოლო „განსწავლული კონსერვატორი“ არავითარ მსოფლმხედველობას არ გულისხმობს.

მეორე სიბრძნე ღაღადებს:

„იგი ბოლომდე არ წყვეტს კავშირს შორეულ წარსულთანაც კი, არ შეურაცხყოფს მისთვის ესოდენ საკრალურ ეთიკურსა და მორალურ პრინციპებს და ნიადაგ მხურვალე პიეტეტით იმსჭვალება გარდასული დროჟამის მიმართ ...“

აქ სამი წინადადებაა (სამი აზრია) და სამივე მკაცრად შეურაცხყოფს კრიტიკოსის სახელს.

1. „იგი ბოლომდე არ წყვეტს კავშირს შორეულ წარსულთანაც კი ...“

აი, რქუა რუქამ არაკი!

აბა, რომანტიკოსი რისი რომანტიკოსია, თუ შორეული წარსული არ გამოსახა?! განა ელემენტარული ცოდნა არაა იმის გაცხადება, რომ რომანტიზმის უმთავრესი ნიშანია წარსულის განდიდება, მისი გაიდეალება?

ეს ხომ ყოველმა მეცხრე-მეათეკლასელმა კარგად იცის? ნუთუ ამის სათქმელად გაისარჯა ჩვენი პროფესორი?

მეორეც, რასა ნიშნავს „ბოლომდე არ წყვეტს კავშირს“? ნუთუ არ იცის, რომ საერთოდ არ წყვეტს?! აქ არავითარი „მაცა-მომიცადე“ არ არსებობს! მაშ, ცნება „ბოლომდე“ ან ქართულის უცოდინარობის, ან რომანტიზმის არსის შეუცნობლობის მაცნეა.

უფრო სახოხმარიკო მეორე „აზრია“:

2. „არ შეურაცხყოფს მისთვის ესოდენ საკრალურ ეთიკურსა და მორალურ პრინციპებს“.

აქაც რქუა რუქამ დიიდი არაკი!

„მისთვის ესოდენ საკრალური“ ეთიკურ-მორალური პრინციპები ვითომ რად უნდა გაეხადა კილვა-დაცინვის საგნად?! აკი მიგვითითებენ: მისთვის ესოდენ საკრალურიო?!

რა მსჯელობა და ლოგიკაა ეს?

ზოგადი ფორმულა შეიძლება მივუყენოთ ნებისმიერ ნორმალურ მოკალმეს (პოეტსაც, პროზაიკოსსაც).

წერილში რაველის ბოლეროს აკვიატებული მოტივივით ბრუნავს და ტრიალებს რომანტიზმის უმთავრესი ნიშნის ნაირგვარად მოწოდებული განსაზღვრება: „რომანტიკოსებს სამშობლოს წარსულის სპეციფიკური სიყვარული გამოარჩევს“; „თუმცა უკვე თვალშისაცემია წარსულის განმეორებისა და კვალის რაღაც ახალი ლოგიკა“; „ისინი მთელი არსებით იძირებიან რომანტიკული ილუზიებით აფერადებულ ჟამთა აწ უკვე მიმქრალ წარმოსახვებში“

ინტერვიუ

მე აგიხსნით, რაც არის.

კაცმა საკუთარი ყაყათი ბარიკადა ააგო და ახლა იქვე მის დანგრევას ლამობს, რა არის, თავისი გონებრივი სიძლიერე გვარწმუნოს. ეგ არის და მეტი – არაფერი!

3. მესამე „აზრი“ ცნობილი აქსიომის (რომანტიზმის პირველი ნიშანია წარსულის განდიდება) გადამღერებაა: „ნიადაგ მხურვალე პიეტეტით იმსჭვალება გარდასული დროჟამის მიმართ“.

აქ სიახლეა უცხოური და სრულიად არადასაღირალი სიტყვა „პიეტეტი“ და ისიც, რომ მცდარად არის დაწერილი „დროჟამი“. უნდა იყოს დეფისით, ასე: „დრო-ჟამი“.

4. საინტერესოა მეოთხე შეგონებაც.

კრიტიკოსი წერს:

„მისი პოეტური გალანტურობა აღიძვრება რომანტიკული მსოფლგანცდიდან და არა რედუცირებული შინაგანი ბუნებიდან“.

ახლა დააკვირდით:

ზემორელე ორბელიანი მსოფლმხედველობრივად იყო „განსწავლული კონსერვატორი“. ახლა კი მას აღმოაჩნდა რომანტიკული მსოფლგანცდა. ნუ ვიდავებთ იმაზე, რომ ტერმინები „მსოფლმხედველობა“ და „მსოფლგანცდა“ ერთი და იგივე არაა. რა თქმა უნდა, ერთი და იგივეა, თუმცა პირველი სწორი ტერმინია, მეორე – მცდარი.

შემდეგ, რას გვეუბნება ავტორი ახალს? არაფერს! ყოველივე ეს რომ ვთარგმნოთ, გამოგვივა ჩვეულებრივი რამ: რომანტიკოსი ამ მიმართულებისათვის დამახასიათებელ ფორმებსა და მხატვრულ საშუალებებს იყენებს.

რაც შეეხება მეორე, აპენდიქსის ჭიასავით გაურკვეველი ფუნქციის მქონე, დანამატს („და არა რედუცირებული შინაგანი ბუნებიდან“), მისი შინაარსის გაგება ჩვენი ცოდნა-გამოცდილების მქონეთ არ ძალუძთ.

„რედუცირებული შინაგანი ბუნების“ კალმოსანი გვიწერს:

„ანალიტიკური თვალი მასში ადამიანურ ვნებათა პოეტურ რეფლექსიებად გარდასახვის უნიკალურ ნიმუშებს აღმოაჩენს“.

ახლა მე ვეკითხები ძვირფას მკითხველს: განა კი რომელი ნამდვილი მესიტყვე არაა ამგვარი? ნებისმიერი მოშაირე ამასვე სჩადის. ამიტომაც არის იგი პოეტი. ამადაც დავსძენ: რა თქვა აქ კრიტიკოსმა ისეთი, რაც მხოლოდ ორბელიანისათვის არის დამახასიათებელი და არა, ვთქვათ, გურამიშვილის, გინდა ლეონიძის ან თუნდაც ჩიქოვანისათვის?! ეს და ა.შ.

აქ წარმოდგენილი ზოგი წინადადება ენობრივი აბსურდიც კია: „თუმცა უკვე თვალშისაცემია წარსულის განმეორებისა და კვალის რაღაც ახალი ლოგიკა“. რანაირად შეიძლება „წარსულის განმეორება“? შეიძლება წარსულის გამოსახვა, გამოხატვა, სიტყვებით აღდგენა, ოღონდ აბსურდია „წარსულის აღდგენა“, ხოლო კვადრატში აყვანილი აბსურდია ასეთი თქმა: „წარსულის განმეორებისა და კვალის რაღაც ახალი ლოგიკა“. ეჭვი არ არის, ამ ნათქვამის ავტორს ერთხელ დაწერილის გადახედვა და ტექსტის ენობრივ-სტილისტური სწორება არ „ნაყვარება“.

ერთგან ისეთი რამ წავიკითხე, რომ მქონოდა, თმა ყალყზე დამიდგებოდა. იხილავს ლექსს „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ და იქვე დასძენს:

„სამწუხაროა, რომ ეს გენიალური ლექსი იშვიათად ასოცირდება დიდი პოეზიის საყოველთაოდ აღიარებულ მწვერვალებთან“.

ესეც საკუთარი ყაყით აგებული ბარიკადის გარღვევაა და მეტი – არაფერი.

არ ვიცნობ ორბელიანის არც ერთ მკვლევარს, რომელსაც ეგ შედევრი ფარზე არ აეზიდოს და მისთვის უმაღლესი შეფასება არ მიეცეს, ხოლო ბრწყინვალე ესთეტმა, უებრო მოქართულე ელგუჯა მაღრაძემ იგი მსოფლიო ლირიკულ შედევრთა რანგში აიყვანა და მისი უზადო ანალიზი გვაჩუქა.

ამ „სიბრძნეს“ (რა თქმა უნდა, დღისით, მზისით ტყუილს) მოსდევს ამგვარი ბუჟუტური, სადაც ყველაფერი თავდაყირაა დაყენებული:

„აქ, ამ შედევრში ნაკლებადაა ევროპული რომანტიზმისათვის სიმპტომური ექსტენსია, სულის სტიქიური მოძრაობა, გრძნობათა სიშიშვლე, კვაზირეალობასთან ლაციცი და ეგზოტიკა... ნაკლებია რაღაც კონკვისტადორული სულის გახელება (ნიკოლოზ ბარათაშვილისეული კონოტაციები) ...“

კაი, რა, გურამ...

მე მაინც იმედიანადა ვარ, რადგან მჯერა: მკითხველი ამას არ დაიჯერებს; მან კარგად უწყის, რომ ამ ლექსში ყველაფერი სწორედაც რომ პირიქითაა: აქ ძალიან მძლავრადაა გამოვლენილი ევროპული რომანტიზმისათვის ჩვეული ექსტენსია; აშკარაა სულის სტიქიური მოძრაობა; გრძნობები უკიდურესად გაშიშვლებულია. სულისა და გრძნობების მოძრაობის მეტი სიცხადე განა რაღა უნდა იყოს, როდესაც მეფის რუსეთის ბრწყინვალე გენერალი წერს: აღარ მინდა, ამ ზმანებიდან რომ გამოვიდე, ამ ნეტარი ძილისაგან გამოვფხიზლდე, რათა ჩემი სამშობლოს დღევანდელი უბადრუკი სახე არ ვიხილოო. დიახ, ამას წერდა ორგზის მეფისნაცვლად მჯდარი მოხელე.

ბარემ აქვე ითქვას: ერთგან წერია, ორბელიანი იყო „ფაქტობრივად კავკასიის მთავარმართებელი“.

რასა ნიშნავს „ფაქტობრივად“?!

ასე მაშინ წერენ, როდესაც კაცი ბრძანებით არ არის დანიშნული და რამე პოსტზე კანონიერად დაყენებულს თავის ნებაზე ატარებს. გრიგოლ ორბელიანი კი ორჯერ კანონიერად იყო მთავარმართებელი, მეფისნაცვალი. ამიტომაც აქ სიტყვა „ფაქტობრივად“ ან ავტორის ენობრივი უმწეობაა, ან საქმის უცოდინარობა.

ამ რამდენიმე წლის წინათ (მაშინ ბატონი გურამი ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი იყო) მქონდა ბედნიერება, მისი ენა და სტილი გამეკრიტიკებინა. უნდა ვაღიარო: ამაოდ გავისარჯე. მოხდა ისე, როგორც ქართულ ანდაზაშია: „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო“. კრიტიკოსმა და პროფესორმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა – საკუთარ ენობრივ პოზიციაზე დარჩა. ამიტომ იძულებული ვარ, ხელახლა ვაუწყო, ავუხსნა და ვასწავლო: „ლირიკულ-ეპიკური“ იწერება დეფისით, მაგრამ „ლიროეპიკური“ – ერთად; სწორია არა „ორგანიული“, არამედ – „ორგანული“; წერია „ლოცვად დაყუდებული“. სწორია „ბერად დაყუდებული“, მაგრამ უნდა „ლოცვად დავარდნილი“ ან „ლოცვად დაცემული“, ოღონდ არა „ლოცვად დაყუდებული“; წერია: „უნიკალურია გრიგოლ ორბელიანის ქალაქურ ფოლკლორთან მიმართება“. უნდა – „ფოლკლორისადმი მიმართება“. „ფოლკლორთან“ შეიძლება „კავშირი“: „ფოლკლორთან კავშირი“.

მაშ, ასე, ბატონო გურამ:

„ქვეყანასთან კავშირი“, ოღონდ „ქვეყნისადმი დამოკიდებულება, მიმართება“.

წერია: „ამის განსჯაში შესვლის უფლება“.

განსჯა გვირაბი როდია, რომ მასში შეხვიდე. ეს, ალბათ, რუსულის კალკია. ავტორს უნდა ეთქვა: „ამის განსჯის უფლება იმ საზოგადოებას აქვს“.

იმხანად ძალიან კარგად ავუხსენი ის, რაზედაც ახლა ხელმეორედ უნდა ველაპარაკო. ერთგან წერია:

„ამ ძლიერი პერსონის არისტოკრატულ ვნებებს ვეღარც ყავლგასული ფეოდალიზმი დაამწყურვალებდა და ვერც უმწიფარი ბურჟუაზია“.

ავტორს ეს ენობრივი კრახი მაშინაც მოუვიდა და ახლაც მოსდის, რადგან „ვერ ისწავლა მესხიმ წერა!“

არ მეზარება, ახლაც ავუხსნა: „დაამწყურვალებდა“ ნიშნავს იმას, რასაც „მოაწყურებდა“. „წყურვილს გაუძლიერებდა“; ჩვენს განმანათლებელს კი ამის სანინააღმდეგო ცნება სჭირდებოდა, ოღონდ ენის უცოდინარობისა გამო ის სიტყვა ვერ მოძებნა (რა ქნას, ცალი თვალით უცხო სიტყვათა ლექსიკონში იჭყიტება; საკუთარი ერის ენობრივი სიმდიდრე ამიტომაც ეკარგება); მაშ, რა სიტყვა სჭირდებოდა კრიტიკოსს აქ? სავსებით ცნობილი თქმა – დაარწყულებდა. „დარწყულება“ ნიშნავს წყურვილის მოკვლას, წყლის შესმას, დაამწყურვალებდას საპირისპიროს.

ვხედავთ: პირველმა წერილმა („გრიგოლ ორბელიანი“) რამდენი ავი რამ გამოაჩინა, ხოლო, თუ რა საშინელი სურათები (ანტივიტრაჟები) იქნება სხვა წერილებში („ნიკოლოზ ბარათაშვილი“, „ილია ჭავჭავაძე“, „აკაკი წერეთელი“, „გიორგი ლეონიძე“), „წარმოიდგინოს თვითონ მკითხველმა!“

ბაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ბამოცემის 25-ე წლისთავისათვის

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქციას და მის რედაქტორს ავთანდილ ბერიძეს

ბატონო ავთანდილ!

გილოცავთ თქვენ და თქვენს მშვენიერ გაზეთს გამოცემის 25-ე წლის იუბილეს!

კარგა ხანია სიამოვნებით ვეცნობი იმ წერილებსა და სტატიებს, მთელ იმ მასალას, რაც ცალკეულ ნომრებში იბეჭდება, და ყველას გასაგონად ვაცხადებ, რომ ყოველი მათგანი დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს ჩემში. თამამად შემიძლია აღვნიშნო, რომ თქვენი გაზეთი ერთ-ერთი საუკეთესოა ჩვენში არსებულ ლიტერატურულ გამოცემებს შორის.

ამასთან, მინდა მადლობა გადაგიხადოთ იმ ყურადღებისთვის, რაც თქვენ გამოიჩინეთ ჩემი ისტორიული რომანის „ვახტანგ გორგასალის“ მიმართ, როცა რამდენიმე ნომერში დაუთმეთ მას ადგილი, ხოლო ის, რომ მე უკანასკნელ ხანს შევეჭიდე ისეთ დიდ თემას და დავწერე მოთხრობა („მე, რუსთველი...“), რომელიც დიდ შოთა რუსთაველს ეძღვნება – ეს მთლიანად თქვენი დამსახურებაა, რამეთუ მისი იდეა თქვენ შთამაგონეთ, რისთვისაც უდიდეს მადლობას მოგახსენებთ.

გილოცავთ, ბატონო ავთანდილ, და როგორც „ლიტერატურულ მესხეთს“, ისე პირადად თქვენ, გისურვებთ კეთილდღეობას, წინსვლასა და წარმატებებს!

მარადის თქვენი ერთგული

ანზორ სიფრაშვილი,
მწერალი, ალმანახ „ლიტერატურული სიღნაღის“ რედაქტორი, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის წევრი

გულწრფელად ვულოცავთ!

სამხრეთ საქართველო ოდითგან ქართული კულტურის ფორცენტრად იწოდებოდა. სწორედ აქ, ამ დალოცვილ კუთხეში – მესხეთში, შეიქმნა სულმნათი შოთა რუსთველის მიერ ყველა დროისა და სივრცის უძვირფასესი, ხელთუქმნელი განძი, ქართველი კაცის სინდისი და ნამუსი – „ვეფხისტყაოსანი“. საამაყო და სათაყვანებელი წინაპრების მიერ გაკვალულ გზას ღირსეულად აგრძელებს გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“, რომელიც ჩვენს ცივ და ტექნიკურ საუკუნეში აქაური კაცის სულიერი დამპურებლია და ძარღვიანი ქართული სიტყვით შექმნილი ღირებული ლიტერატურული ნაწარმოებებით ამდიდრებს, ზრდის მკითხველის შემეცნებასა და მასშტაბურს ხდის მის ცნობიერებას. „ლიტერატურული მესხეთი“ იუბილარია. გულწრფელად ვულოცავთ გაზეთის რედაქტორს, შესანიშნავ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, სანიმუშო ინტელიგენტს, მისაბაძ რედაქტორს ბატონ ავთანდილ ბერიძეს, რედაქციის ყველა თანამშრომელს მშობლიური გაზეთის – „ლიტერატურული მესხეთის“ იუბილეს და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს.

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის აჭარის ორგანიზაცია, აჭარის მწერალთა სახლი

სიტყვა „ჩვენებურის“ მნიშვნელობის შესახებ

ფარნა-ბექა ჭილაძე

წინამდებარე სტატიაში გთავაზობთ თურქეთის მკვიდრი ქართველის ბატონ ფარნა-ბექა ჭილაძის (ჩილაშვილი, ფაჰრეთინ ჩილოღლუ) კრიტიკულ მოსაზრებას სიტყვა „ჩვენებურის“ ხმარებასთან დაკავშირებით. იმედი გვაქვს ამ ტერმინის ხშირად, უმართებულო გამოყენებას, კრიტიკულად გადაიაზრებენ ჩვენი მეცნიერები, რომლებიც თურქეთში მცხოვრები ქართველების ისტორიას, ფოლკლორს და წეს-ჩვეულებებს იკვლევენ.

მთელ რიგ წყაროებზე დაყრდნობით შესაძლებელია იმის გამოკვლევა, თუ როგორ დაიწყო საქართველოში ტერმინ „ჩვენებურის“, განსაკუთრებით დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, წმინდა ლექსიკურ მნიშვნელობასთან ერთად, მისი ფართო მნიშვნელობით გამოყენება. თურქეთში მცხოვრები ქართველების შესახებ ქართულ ენაზე გამოცემული, ზოგჯერ ზედაპირული ხასიათის წიგნებისა და სტატიების ავტორების მიერ გამოყენებული ეს ტერმინი მით უფრო საყურადღებოა, როცა მას ქართველი ერის ისტორიული ნაწილის, – მუსლიმი ქართველების ქრისტიანი ქართველებისაგან განსასხვავებლად და სხვა იდენტობის შესაქმნელად იყენებენ.

სიტყვა „ჩვენებური“ გამოიყენებოდა მხოლოდ თურქეთში – ტაოკლარჯეთის რეგიონს გარეთ მცხოვრებ და 1877-78 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ გამოწვეული მიგრაციების შედეგად ჩამოყალიბებულ ქართულ თემში. ქართულ ლიტერატურაში კი ეს ტერმინი ამ ომიდან დაახლოებით ასი წლის შემდეგ შემოვიდა, კერძოდ, ჟურნალ „ჩვენებურის“ გამოცემით და მის საქმიანობაში ჩართული ქართველების მეშვეობით, რომლებიც, შესაძლოა, საბჭოთა აგენტურასთანაც ყოფილიყვნენ დაკავშირებულნი.

ქართულად ტერმინი „ჩვენებური“ ნიშნავს *„ჩვენს“, „ჩვენთვის დამახასიათებელს“, „ჩვენთვის ჩვეულს“*. თუმცა, გადასახლების შემდეგ, ქართველები ამ სიტყვას სხვა სოციალური ჯგუფებისაგან გასამიჯნავად იყენებდნენ. ამ კონტექსტში „ჩვენებურმა“ ტერმინების – *„ქართველისა“* და *„ქართულის“* ადგილი დაიკავა. მაგრამ აღნიშნულ მხარეებში ჩატარებული კვლევებისა და საველე სამუშაოებიდან ცნობილია, რომ მუჰაჯირი ქართველები ისტორიული მესხეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ადგილობრივი ქართველების აღსანიშნავად სიტყვა „ჩვენებურს“ ამ მნიშვნელობით არ ხმარობდნენ.

ლიტერატურისა და ისტორიის მკვლევარ-პოპულარიზატორის ზაქარია ჭიჭინაძის მუსლიმი ქართველების შესახებ ერთ-ერთ კვლევაში, *„მაჰმადიანი ქართველები და საქართველოს სოფლები,“* სიტყვა „ჩვენებური“ ისეთი მნიშვნელობებით გვხვდება, როგორიცაა *„ჩვენებური სიტყვა“, „ჩვენებური კაცი“, „ჩვენებური ანბანი“* და *„ჩვენებური სკოლა“*. სიტყვა „ჩვენებური“ არ არის ნახსენები კულტურის ისტორიკოსის *ნიკო მარის* წიგნში *„შავშეთისა და კლარჯეთის მოგზაურობის დღიურები“*, რომელიც ემყარება 1904 წელს თავისი მოგზაურობის დაკვირვებებს შავშეთისა და კლარჯეთის რეგიონებსა და იქაურ ქართველებზე. *მუვაჰიდ ზექის* მიერ 1927 წელს გამოქვეყნებულ ოსმალურენოვან წიგნშიც, რომლის ერთ-ერთ თავში იგი ქართულ ენასა და კულტურას ეხება, სიტყვა „ჩვენებურს“ ვერ შეხვდებით.



„ქართველისა“ და „ქართულის“ ნაცვლად გამოყენებული სიტყვა „ჩვენებური“ მუჰაჯირ ქართველებს



შორის მხოლოდ ქართული სასაუბრო ენის ნაწილი იყო და დიდი ხნის განმავლობაში წერილობით წყაროებში არ გვხვდება. სიტყვა „ჩვენებური“ არ გვხვდება ასევე *არიფ ისმეთ ბეის* ავტორობით 1893 წელს გამოცემულ წიგნში *„ოსმალეთის ქართული სოფლები“*, რომელიც ოსმალეთის პერიოდში მუჰაჯირ ქართველებზე ერთადერთი დაკვირვებითი მეთოდით კვლევაა. ქართველები, რომელთაც ავტორი ესაუბრა, ქართულად წერა-კითხვის მცოდნე გადმოსახლებულებს უწოდებდნენ არა „ჩვენებურებს“, არამედ „ჩურუქსუელ ქართველებს“. 1914 წელს ოსმალეთში მცხოვრები ქართველებისთვის ქართული წერა-კითხვის სწავლების მიზნით შეიქმნა წიგნი *„კპტარა ქართული ანბანი“*. ტერმინი „ჩვენებური“ არც ამ წიგნში გვხვდება. წიგნის დასახელებაში – *„კპტარა ქართული ანბანი, შედგენილი და გამოცემული ოსმალოს ქართველთათვის“*, – ჩანს, რომ თურქეთში მცხოვრები ქართველები მოხსენიებულნი არიან როგორც *„ქართველები“*. ეს მაგალითები ასევე მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ საკუთრივ თემის შიგნით გამოყენებული სიტყვები ადვილად არ ვრცელდება სხვაგან.

ტერმინი „ჩვენებური“, 1977 წელს შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში, თურქულ ენაზე ჟურნალ *„ჩვენებურის“* გამოცემით, ქართველთა მუჰაჯირობის დაახლოებით ასი წლის შემდეგ, ვიწრო მნიშვნელობიდან, თურქულენოვან ბეჭდურ ლიტერატურაში უფრო ფართო მნიშვნელობით დამკვიდრდა. ამ ჟურნალის ერთ-ერთ გამომცემელს, აჰმედ ოზქან მელაშვილს სურდა ჟურნალის *„საქართველოს“* სახელწოდებით გამოცემა, თუმცა 1968 წელს უცხოეთელ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის აჭარის განყოფილების ხელმძღვანელის, ცნობილი ქართველი პოეტის ფრიდონ ხალვაშის[1] დაჟინებული თხოვნით *„ჩვენებური“* დაერქვა. ამასთან, ამერიკელი ანთროპოლოგი პოლ მაგნარელა ინეგოლის რაიონში მცხოვრები ქართველი მუჰაჯირების სოფელ ხეირიეს შესახებ მონოგრაფიაში „The Peasant Venture: Tradition, Migration and Change Among Georgian Peasants in Turkey“ *(„პაირიეს გლეხობის ტრანსფორმაცია: ტრადიცია, მიგრაცია და ცვლილება თურქეთში ქართველ გლეხებში“)* სოფლის მოსახლეობას არა „ჩვენებურებად“, არამედ „ქართველებად“ იხსენიებს. ასევე ცნობილი ქართველი პროფესორის, შუშანა ფუტკარაძის მიერ თურქეთში მცხოვრები ქართველების შესახებ კვლევისა და შედგენილი წიგნის *„ჩვენებურების ქართულის“* გამოქვეყნებით, ტერმინმა „ჩვენებურმა“ ბეჭდურ გამოცემებში უფრო ფართო გამოყენება ჰპოვა. თუმცა შუშანა ფუტკარაძემ ამ ტერმინით მოიხსენია ართვინელი ქართველებიც, რომლებიც სიტყვა „ჩვენებურს“ ეთნიკური იდენტობისა და მშობლიური ენის მნიშვნელობით არ ხმარობენ. ამ მცდარი აზრის გამოყენებას მოგვიანებით სხვა წყაროებშიც ვხვდებით. გიორგი კალანდიამ ჟურნალ „ჩვენებურის“ ერთ-ერთ გამომცემელზე, აჰმედ ოზქან მელაშვილზე დაწერილი თავისი წიგნისთვის – *„ჩვენებურთა ბელადის“* (2010 წ.) დარქმევით, თურქეთში მცხოვრები ყველა ქართველი „ჩვენებურად“ მონათლა, ოზქანი კი ამ ქართველების ბელადად წარმოაჩინა.

მუჰაჯირობის შემდგომ „ჩვენებურებად“ მონათლული ქართველები ოსმალების მიერ მე-16 საუკუნეში საქართველოს დაპყრობილ ტერიტორიებზე ცხოვრობდნენ. ამ მხარეების ერთი ნაწილი რუსეთ-თურქეთის 1828-29 წლების ომის შემდგომ რუსეთის ხელში გადავიდა, რის შედეგადაც სამცხე-ჯავახეთიდან უმეტესად თურქულენოვანი მუსლიმებისა და კათოლიკე ქართველების მიგრაცია მოხდა. თუმცა ეს ჯგუფი ტერმინ „ჩვენებურში“ არ შედის. „ჩვენებურებს“ მხოლოდ 1877-1878 წლებში რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდგომ გადასახლებულებს უწოდებენ. ეს მიგრაციაც რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიებს შორის სამწლიანი ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდა, რომელიც ორმხრივ მიგრაციას ითვალისწინებდა.

მიგრაციის პერიოდში, რომელიც დაიწყო რუსეთსა და ოსმალეთის იმპერიას შორის საიმიგრაციო ხელშეკრულებით და გაგრძელდა ამ ხელშეკრულების განახლებით, მუსლიმი ქართველები ართვინის, აჭარის, არდაჰანის, სამცხისა და ქვემო გურიის რეგიონებიდან ოსმალეთის მიწაზე გადასახლდნენ. ტერიტორიების უმეტესობა, რომელთაც გადასახლება შეეხოთ, თითქმის გაუკაცრიელდა. ამ მიგრაციის დროს, რომელიც ასევე ცნობილია როგორც „მუჰაჯირობა“, ქობულეთიდან გადასახლებულები საკუთარ თავს *„ჩურუქსულებს“* უწოდებენ, ბათუმიდან გადასახლებულები – *„ბათუმელებს“*, ზემო ან ქვემო აჭარის სანჯაყებიდან გადასახლებულები – *„აჭარლებს“*, მაჭახელიდან გადასახლებულები *„მაჭახლელებს“*. ომის შემდგომი მიგრაცია თანდათან შემცირდა, თუმცა მომდევნო წლებიც მოიცვა.

მუჰაჯირები ძირითადად თურქეთის ჩრდილოეთ ზოლში განსახლდნენ, შავი ზღვის სანაპიროზე, მათ შორის დღევანდელი რიზეს, გირესუნის, ორდუს, სამსუნის, სინოპის,



ამასიისა და თოქათის რაიონებში. ყველაზე მეტი მოსახლეობა კი ფაცას, უნიეს, ორდუს, თერმესა და ჩარშამბას მხარეებშია. უფრო დასავლეთისკენ კი – ბოლუს, მარმარილოს ზღვის რეგიონის, დუზჯეს, საქარიის, ქოჯაელის, ბურსის და ბალიქესირის რაიონები „ჩვენებურების“ განსახლების არეალია. გარდა ამისა, ისინი თურქეთის ყველა პროვინციაში იქნებიან წარმოდგენილნი მანამ, სანამ იქ ერთი სოფელი მაინც იარსებებს.

1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ, ოსმალეთში გადასახლებული ქართველები ანატოლიის სხვადასხვა კუთხეში დასახლდნენ. მათ შორის ქოჯაელის, საქარიის, დუზჯეს, ბოლუს, სინოპის, სამსუნის, ორდუს, გირესუნის, ამასიის, თოქათის, ბურსის, ბალიქესირის, ჩანაქალეს პროვინციებში. სავარაუდოდ, ეს მოსახლეობა დაახლოებით ერთ მილიონს შეადგენს. თურქეთში მცხოვრები ქართული წარმოშობის მოსახლეობის შესახებ ზუსტი მონაცემები არ არსებობს. თუკი მოსახლეობის აღწერის ძველ მონაცემებს დავეყრდნობით, სადაც ქართულის მცოდნე მოსახლეობაა აღრიცხული, მათი რაოდენობა დაახლოებით 60 ათასი უნდა იყოს.



გაზეთ „საქართველოს“ 1916 წლის 8 დეკემბრის 274-ე ნომერში გამოქვეყნებული სტატია *„ქართველი მუსლიმანები და ქართული წერა,“* შემდეგი წინადადებით იწყება: *„სარწმუნოების სხვადასხვაობამ და სხვადასხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომობამ ქართველი მუსლიმანები დროებით დააშორა თავიანთ ღვიძლ ძმებს, განაყოფ ბიძაშვილებს – ქართველ ქრისტიანებს“*. მუსლიმ ქართველებს იმედი არ დაუკარგავთ, რომ უკან დაბრუნდებოდნენ. ამას მათ ზეპირ გადმოცემებშიც ვხვდებით. თუმცა, უკან დაბრუნების პირობების გაუქმების გამო, მცირე ოდენობის გარდა, უკან არავინ დაბრუნებულა. ზოგიერთი ქართველი მკვლევრის მიერ ტერმინ „ჩვენებურის“ არასწორი ფორმით გამოყენებამ (რომელიც ასი წლის შემდეგაც ამ ტრაგედიას ლამის სათავისოდ იყენებს), ერთი და იგივე წარმომავლობის ადამიანთა სხვადასხვა იდენტობის ადამიანებად დაყოფამ, სხვა ტრაგედიამდე შეიძლება მიგვიყვანოს.

თურქულიდან თარგმნა

რუსუდან ბერიძემ

---

1 თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში „ომრი“ ხალვაში წერს: „ეს, რა თქმა უნდა, „კაგებესთან“ შეთანხმებული ორგანიზაცია იყო, მაგრამ ჩვენ, მასში, მოსამსახურეებმა, თითქოს ეს არ ვიცოდით. ჩვენ, რაღაც-რაღაცეებს, მაინც, გულის კარნახით, ეროვნულს, ჩვენებურს, ქართულს, ამ ხლაფორთიან, მაგრამ ბევრნაირად გამოსადეგი ორგანიზაციისაგან, სახეირო რამეებს ვნურავდით“ (მთარგმნელის შენიშვნა).

მატიანე



ვალე. ახალციხის რაიონი. მძსოველი ქალი. მე-19 საუკუნის 90-იანი წლები.
პეტრე დიდის სახელობის ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი

„ქალო, არ დაიოხრგეზო!"

დილას ცისკარი ამშვენებს,
სამშობლოს – მესხთა მთა-ბარი,
ახალციხეს კი სამრეკლო –
შალვას ტაძრის და რაბათის.

ზარზმა უმღერის ვარძიას,
ნინოს ჯვარს – ტბა ფარავანი,
ბასიანისკენ მიმავალს,
ლაშქარს დალოცავს თამარი.

აქ არის მისი ხატება
რუსთველის ნატერფალები,
აქ ქმნიდა „ვეფხისტყაოსანს"
გაბრწყინებული თვალებით.

ისევ – „ჰერიო ბიჭებო!"
ისევე – „მამლი მუხასო!"
დე, მუდამ კვამლი სდიოდეს
ჩვენს კერასა და ბუხარსო.

„მუხა წონწილებს, წონწილებს –
„მამლი მუხასაო" ...
„წონწილენს – არ წაიქცევა,
მამლი მუხასაო"!

ავტორ-მთქმელი
ვასილ კვინცხაძე,
ქალაქი ახალციხე, 81 წლის

ფოლკლორი

ისტორიული ამბავი

სოფელ უდესთან ახლოს, მის ჩრდილო-დასავლეთით, არსებობდა სოფელი მეიდანი (ამჟამად ნასოფლარია), რომელშიც 19 კომლი ცხოვრობდა. 1830 წელს ეს სოფელი მთლიანად გაუკაცრიელდა, რადგან მისი გამაჰმადიანებული მოსახლეობა ოსმალეთში გადავიდა საცხოვრებლად. მეიდნის მეპატრონეები ყოფილან ხურციძე-ჩორჩანელების გვარის გამაჰმადიანებული ქართველები.

ოსმალების მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ, ხურციძე-ჩორჩანელები გამაჰმადიანებულან და ოსმალთა სულთანსაც ისინი პატივით მიუღია, სათანადო სიგელიც უბოძებია, რათა შემოემტკიცებინა ხუციძეთათვის ოდითგანვე კუთვლილი მამაპაპური მამულები.

1835 წელს ნუყმან ბეგი უკანასკნელი წარმომადგენელი ყოფილა მაჰმადიან ხურციძე-ჩორჩანელებისა, რომლებიც ასევე გადადის ოსმალეთში, ხოლო სოფელი მეიდანი და სხვა მათი მამულები სომხების (ალბათ საეკლესიო მფლობელობამი) გადასულა.

როგორც გადმოგვცემენ, მეიდან ბეგი ლამაზი ქალების მოყვარული ყოფილა. ამიტომაც იყო, რომ ლამაზი ქალების მშობლები თავიანთ შვილებს მურს უსვამდნენ და ძველ ტანსაცმელს აცმევდნენ, ბეგს რომ არ მოსწონებოდა.

სოხფელ მეიდანზე ასეთი ლექსიცაა გამოთქმული:

„ოღრამა მეიდანა
ყოხმიშტურ იერი,
ონდანდა სალამათ, გეჩოსინ ტერნა,
უდე გულისტანდურ ყონასენ ტურნა."
ქართული თარგმანი:
„ნუ შეივლი მეიდანს,
რომლის ადგილებიც ყარს,
მას გულდამშვიდებით გადაუარე,
უდე ვარდნარია და იქ დაბინავდი წეროვ.

მთქმელი **არტემ ბალახაშვილი,**
89 წლის. ადიგენის რაიონის სოფელი უდე.
ჩაიწერა **ანტონ ბალახაშვილმა**
1987 წელს

გამოსათხოვარი



„კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს" – მიხეილ ქვლივიძის კლასიკად ქცეული ეს სიტყვები, ყველა იმ კაცურ კაცის ნეკროლოგს მიჰყვება, რომელიც მართლაც აკლდება არამარტო თავის ქალაქს, არამედ მთელ ქვეყანას, ერს, საზოგადოებას, ოჯახზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ასეთი ადამიანების რიცხვს ამშვენებდა ბატონი ანზორ თამარაშვილი – ახალციხის საპატიო მოქალაქე, ხელოვნებათმცოდნე, პედაგოგი, ლოტბარი და მუსიკოსი. ბატონი ანზორი ღირსების ორდენის კავალერი ბრძანდებოდა და მართლაც ღირსეულად ატარებდა ამ ტიტულს. ქალაქის კოლორიტი იყო და მარად ჭირისუფალი თავისი ქვეყნისა და ხალხისა. თამარაშვილების გვარის ღირსეულ წარმომადგენელს ახალციხელებმა ნდობა გამოუცხადეს და არჩეული იქნა საქართველოს მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრად. მან ეს როლი, არა მარტო ცხოვრებაში შეასრულა, არამედ რეზო ჩხეიძის ფილმში – „რაიკომის მდივანი" (იგივე „ვაიოს ველები"), ეპიზოდურ როლშიც კი ღირსეული და განსაკუთრებული სახე შექმნა, ბატონ ანზორს, ასევე ეპიზოდური როლი აქვს შესრულებული კინოფილმში – „შეხვედრა წარსულთან". მრავლმხრივ ნიჭიერ ადამიანს, განსაკუთრებული მიდრეკილება ჰქონდა მუსიკისადმი. გარკვეული პერიოდი მოღვაწეობდა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში. მისი ვოკალური მონაცემებით ვინ აღარ მოხიბლულა! მას არაერთი თაობა აღუზრდია ახალციხისა და ადიგენის რაიონებში, წარმატებული იყო მუსიკალური ოლიმპიადების და ფესტივალების დროს და ყოველთვის გრძნობდა შინაგან ვალდებულებას, რომ იგი დიდი მიხეილ თამარაშვილის ღირსეული მემკვიდრე იყო და ამ გვარს სათუთად უფრთხილდებოდა. წუთისოფლის გამოწვევების მიუხედავად, ყველაფერს ღირსეულად უმკლავდებოდა და ზუსტად ისე წარმოაჩენდა, როგორც საჭირო იყო. ჯანმრთელობის გაუარესების დროსაც კი ტიტანური შრომა გასწია და შექმნა მსოფლიოში პირველი უნიკალური მუსიკალური ენციკლოპედია. კერძო საუბრებში, არაერთხელ აღუნიშნავს კიდეც, თუ რა რთული იყო ამ საქმის ბოლომდე მიყვანა.

მისი აღზრდილები დღემდე მადლიერებით იხსენებენ ბატონ ანზორის კეთილშობილებას და ადამიანურ თვისებებს. ადვილი არ არის, მცირებიუჯეტიან სფეროში აკეთო ის საყვარელი საქმე, რომელსაც მხოლოდ ენთუზიაზმით ვერ მიაღწევ. იგი პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა და ერთ-ერთი ნამოწაფარი მეც გახლავართ. მისი ბუბუნა ხმა დღემდე ჩამესმის ყურებში, მნიშვნელოვან ყურადღებას კი მესხურ ფოლკლორს აქცევდა. მისი შესრულებით „მამლი მუხასა" განსაკუთრებით ჩამრჩა გულში...

ადამიანი ხშირად თავისი ბედით თავის კუთხეს და ქვეყანას ემგვანება. ბატონმა ანზორმაც, ბერმუხასავით, „იწონწილა" და მაინც წაიქცა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. ამაყი იყო და საწოლს არ მიეჯაჭვა. ვაჟკაცურად, ფეხზე მდგომი, მოჭრილ მუხასავით დაეცა და ჩვენც თავზარი დაგვცა. ვალმოხდილი წავიდა იმქვეყნად. მუსიკის სფეროში უამრავი ფასდაუდებელი მემკვიდრეობა, ნაშრომი და კვლევა დაგვიტოვა, რითიც ყოველთვის იამაყებს ქართველი ერი. მომავალი თაობები აუცილებლად მადლიერებით გაიხსენებენ მას, როდესაც წყაროს სახით, მის მიერ შედგენილ და შექმნილ ლიტერატურას გამოიყენებენ. ძნელია, ძალიან ძნელია, „ახალციხელობა" იზეიმო და სამცხის კოლორიტი აღარ ამშვენებდეს ახალციხის ციხეს. ნიშანდობლივია და უკვე, ორმაგი დატვირთვა ექნება თამარაშვილის ქუჩას, სადაც ბატონი ანზორი ცხოვრობდა. დრო მოვა და მჯერა მას „თამარაშვილების" ქუჩა დაერქმევა.

დიდი მამულიშვილის გარდაცვალების გამო ვუსამძიმრებთ მის ოჯახს, სამცხე-ჯავახეთს, მუსიკალურ საზოგადოებასა და სრულიად საქართველოს. მსუბუქი იყოს მისთვის მესხეთის მიწა, რომელიც ასე ძალიან უყვარდა. და, არამარტო მიწა, არამედ ცაც. სასწაული ბევრი ხდება ამქვეყნად და განა სასწაული არ არის, ამ დღეებში, ცაზე რომ პლანეტების აღლუმია? დიახ, ცაზე გაუხსენეს უკვე ვარსკვლავი. თამარაშვილების ვარსკვლავი, კიდევ უფრო აკაშკაშდა ცის კაბადონზე.

ციური ასპანიძე-
მესხიშვილი

გაზეთი „ლიტერატურული მესხეთის" რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი, ახალციხის საპატიო მოქალაქე, ხელოვნებათმცოდნე, პედაგოგი, ლოტბარი და მუსიკოსი

ანზორ თამარაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

გაზეთის ელ.ვერსიების არქივი: ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი" (საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა)

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს.
სარეგისტრაციო N19/4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა
შპს „საარის" სტამბაში
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2.94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. N3,
ტელეფონი მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24
lit.meskheti@gmail.com
lit_meskheti@yahoo.com